პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და
მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 10—43.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივანის.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ჩერვონცებით მომბარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

დღიური

— მესოპოტამიაში მოხდა მცხოვრებთა აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ.

— საფრანგეთის ჯარმა ჩააქრო აჯანყება სირიაში.

— ბულგარეთის [illegible] კომუნისტებს და გლეხობას.

— ფაშისტის არმიის [illegible]

— ამერიკა აშენებს ახალ სამხედრო გემებს.

№ 107 (962) სამშაბათი, 13 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 107 (962)

დღეს, 13 მაისს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

განსახილველ საკითხების გამო პრეზიდიუმის ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის საქმეთა მმართველი [illegible].

მოწოდება
წითელ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

წითელ ჯარის რიგებში მუშურ-გლეხურ ახალგაზრდების გაწვევა [illegible] გაწვევისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში სწარმოებს [illegible] მუშაობა.

ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოები გულის ფანცქალით შესცქერიან ამ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება მორიგ ომებში—აი მათი მიზანი. კარგად იციან ჩვენმა მოსისხლე მტრებმა—ბურჟუა მემამულეებმა, რომ წითელი ჯარი უმთავრესი ძალაა, რომელსაც ეყრდნობა მუშებისა და გლეხების ხელისუფლება. მთელი წლების განმავლობაში ევროპის რეაქციონური ქვეყნები აწყობდნენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს. იარაღით ხელში გამოდიოდნენ ყოფილი თავადი, კონტრრევოლუციონერი ოფიცრობა და სხვ. ეს იყო გაშმაგებული ინტერვენციების დროს. მაგრამ სახელოვანმა ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა, მუშებისა და გლეხების სამხედრო ძალმა ღირსეული პასუხი გასცა პროლეტარული რევოლუციის ჯალათებს, მოსპო და გაანადგურა ანტანტის ბურჟუაზიის დაქირავებული ბანდები — დენიკინ-კოლჩაკ ვრანგელები. ევროპისა და რუსეთის კაპიტალისტებს ახსოვთ ეს მწარე ამბავი, წითელი ჯარის სასტიკი გაკვეთილი.

ჩვენი შინაური მტრები ყოველგვარ ღონისძიებას, ხრიკებს და საშუალებებს ხმარობენ ჯარში გაწვევის კამპანიის ჩასაშლელად. მაგრამ ამაოდ. გასულ წლების გაწვევებმა დაამტკიცა [illegible] ქვეყანას, რომ მშრომელ მასის ნორჩი ძალები, ახალგაზრდა მუშები და გლეხები დიდი ხალისით მიიშურებიან წითელ ჯარის მწკრივებისაკენ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეგნებული მუშურ გლეხური ახალგაზრდობა ყურობს სამხედრო მოვალეობას. ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმის სამეფოებში მთავრობისა და მშრომელი მასის ინტერესები ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. ბურჟუაზია სცდილობს მშრომელი ჯარისკაცი [illegible] მანქანებისათვის გამოიყენოს.

საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ხალხის მხრით წითელარმიელებისადმი გულგრილობას არა აქვს ადგილი. რატომ ხდება ასე, იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებასა და მშრომელი მასის შორის არსებობს ინტერესთა სრული თანხმობა, მიზანთა ერთიანობა. საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელისუფლებაა, ხოლო წითელი ჯარი—იგივე მუშების და გლეხების შეიარაღებული ძალაა.

მეფის და მენშევიკების მთავრობის აზრით ჯარი იყო ბრმა იარაღი, უბრალო საშუალება, „ზარბაზნის ხორცი" გაბატონებულ კლასების ხელში. ჯარისკაცს სრულუფლებიან მოქალაქეთ არ სთვლიდნენ, კიდევ მეტი... ძაღლს უთანაბრებდნენ. მენშევიკებმა ჯარის მდგომარეობა უფრო გაამწვავეს, გააუარესეს. ჯარი „სახალხო გვარდიას" დაუპირისპირეს. გვარდიელს ეცვა ეხურა, ათასგვარი უფლებები ენიჭებოდა. ჯარი კი მოკლებული იყო ყველა ამას. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ენერგიული ზომებით ძირფესვიანათ მოისპო ძველი მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მთლიანი ჯარი—წითელი არმია.

თანამედროვე წითელი არმიელი ძველი, მენშევიკური დროის ჯარისკაცი როდია. მან იცის რა გააკეთა, რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს ახლო მომავალში. წითელი არმია შეგნებული, კლასიური, მუშურ-გლეხური ინტერესებით გამსჭვალული სამხედრო ორგანიზაციაა. ეგი ერთგული დარაჯია მშრომელი მასის პოლიტიკური ბატონობის, საბჭოთა წყობილების ციხე-სიმაგრის. წითელი არმია საბჭოთა მთავრობის, მუშებისა და გლეხების სიამაყეა.

წითელი ყაზარმა წარმოადგენს სკოლას, აქ იზრდება ახალგაზრდა არმიელი ფიზიკურად, გონებრივად, [illegible] ზნეობრივად.

ახალგაზრდა ამხანაგებო, გახსოვდეთ ლენინის ანდერძი: წითელი არმია მუშებისა და გლეხების შეიარაღებული ძალაა. მოგიწოდებთ ამ კავშირის გაძლიერებისა და განმტკიცებისაკენ. საქართველოს წითელი ლაშქარი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთი პატარა რაზმია. მან უნდა გასწიოს ღირსეული ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციას.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს.

ჩვენი სალამი წითელ არმიის რიგებისაკენ მიმავალ მუშურ გლეხურ ახალგაზრდობას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი კახიანი

ს. კ. პ. ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყ. გამგე ამხ. ბახტაძე

პარტიული ყრილობის შედეგები

ჩვენი პარტიის მესამე ყრილობა გათავდა.

მან მოისმინა ერთი წლის მოღვაწეობის ანგარიში ცენტრალური კომიტეტის, სცნო მისი პოლიტიკური ხაზი სწორათ და მთელი მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებლათ. მან გაარჩია მთელი რიგი კითხვების, რომლებიც წამოაყენა ჩვენმა სინამდვილემ, პარტიის მუშაობის მიმდინარეობამ ქალაქში და სოფლათ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ დარგებში.

თავიდანვე აღსანიშნავია ის ატმოსფერა ერთსულოვანების, რომელშიაც მიმდინარეობდა ყრილობა. წერილში: „მთლიანობის ნიშან ქვეშ", რომელიც ვუძღვენით ყრილობას მისი დაწყებისას, ჩვენ გამოვსთქვამდით იმედს, რომ პარტიული სიბრძნე განამტკიცებდა ჩვენ რიგებს, რომ ის წავიდოდა იმავე გზით, როგორითაც თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია.

ყრილობამ სრულიად გაამართლა ამხანაგების მოლოდინი, მოლოდინი პარტიული მასების, მუშებისა და გლეხების.

მთელ რიგ ხელმძღვანელ ამხანაგების (ყოფილი ოპოზიციიდან) გამოსვლამ განცხადებებით, რომ ამიერიდან ადგილი აღარ ექნება შინაპარტიულ ბრძოლას და ისინი ერთსულოვნით იმუშავებენ ყრილობებისა და ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრების გადაწყვეტილებათა ნიადაგზე, ხელი შეუწყო ყველა კითხვების ამხანაგურათ გარჩევასა და გადაწყვეტას, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა პარტიის მთლიანობასა, მის შინაურ სიმტკიცეს.

ხოლო ეს სიმტკიცე, ეს მთლიანობა საჭიროა დღეს უფრო, ვინემ ოდესმე. ჩვენ გვიხდება ბრძოლა ჩვენ ეკონომიურ მოუწყობლობასთან, ქვეყნის მეურნეობის აღსადგენათ და კულტურულ ჩამორჩენილობასთან. რა მიღწევებიც არ უნდა აღვნიშნოთ ჩვენ ამ დარგებში, ცხადია, რომ გასავლელი გზა და გასაკეთებელი კიდევ მეტია. საკითხია საკითხია კვლავ წარმატება სოფლის მეურნეობის და ამასთან დაკავშირებით, გაუმჯობესება მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობის. ამ თვალსაზრისით მიუდგა ყრილობა კოოპერაციისა და შინა-ვაჭრობის საკითხებს. ის დავა, რომელიც ასუსტებდა დღემდე კოოპერაციას ჩვენში, ბრძოლა რომელსაც ეწეოდენ ურთიერთ შორის სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, ამიერიდან დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს, არა ინტეგრაცია კოოპერაციის ამ ორი დარგის, არამედ გამიჯვნა მათი ფუნქციების და ამის მიხედვით ჩამოყალიბება მათი აპარატისა და სამუშაო გეგმის—ასეთია დირექტივა პარტიული ყრილობის. ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს გაუგებრობას ამ სფეროში, რომელმაც ამდენი ზიანი მიაყენა ჩვენს საქმიანობას სოფლათ და ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების პოზიციის გამაგრებას.

სავაჭრო პოლიტიკის საკითხში ყრილობამ დაადასტურა თბილისის პარტკონფერენციის გადაწყვეტილება, რომელიც უკვე გამოქვეყნდა თავის დროზე ჩვენს გაზეთებში. აქაც ჩვენი მზრუნველობის ცენტრში დასმულია ბრძოლა კერძო კაპიტალთან, ჩვენი მომხმარებლის და პირველ რიგში სოფლის განთავისუფლება მისი გავლენისაგან. თუ დღემდე ადგილი ჰქონდა ამ სფეროში მთელ რიგ შეცდომების და ჩვენი ტრესტების დაუშვებელ საკრედიტო პოლიტიკას კერძო ვაჭრების მიმართ, დღეიდან, მას შემდეგ რაც გამოაშკარავებულია სათავე ამ ნაკლის, ბოლო მოეღება მსგავს უპასუხისმგებლო მუშაობას.

არაჩვეულებრივი ერთსულოვანებით ამოირჩია ყრილობამ ერთხმათ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები, ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია. ამ მთლიანობაში ჰპოვა სრული გამოხატულება პარტიულ ცხოვრებაში მიღწეულმა თანხმობამ, რომელიც შერყეული იყო უკანასკნელ წლებში ჩვენში. ეს არის თავდები ჩვენი მომავალი სიმტკიცის, ჩვენი შეთანხმებული ბრძოლისა და საბოლოო გამარჯვების შინაურ და გარეშე მტრებზე. ეს უნდა ახსოვდეთ ამ უკანასკნელებს, ამას იგრძნობენ ისინი მომავალში უფრო მწვავეთ, ვინემ გრძნობდენ დღემდე.

ადგილობრივი გადასახადები და თვითდაბეგვრის წესი

გაზეთ „კომუნისტის" 7 მაისის № ში მოთავსებულია ამხ. დოლიძის წერილი „ადგილობრივი გადასახადები და თვითდაბეგვრის წესი".

ამ წერილში წამოყენებულია შემდეგი საკითხები: ა) თვითდაბეგვრა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სპეციალური, მიზნობრივი გადასახადი ამა თუ იმ სამეურნეო მიზნის განსახორციელებლად, ბ) ნებაყოფლობითი ფულის გაღება განსაკუთრებულ სამეურნეო მიზნის განსახორციელებლად. ან და ამავე მიზნის განხორციელება ნატურალური შრომით, ურმებით, საქონლით და სხვ. გ) სარაიონო ბიუჯეტი, დ) ადგილობრივი გადასახადების ერთიანობა და მთლიანობა.

დავიწყოთ პირველიდან თვითდაბეგვრიდან. ამხ. დოლიძეს თვითდაბეგვრა ფართოთ ესმის: თვითდაბეგვრა არის, ერთი ის, როდესაც მცხოვრებლები იბეგრება ადგილობრივ ორგანოთა მიერ ამა თუ იმ სამეურნეო მიზნის განსახორციელებლად და მეორე—როდესაც თვით მცხოვრებლები გამოსთქვამენ სურვილს ფულის ან შრომის გაღებისას ამა თუ იმ სამეურნეო მიზნის განსახორციელებლად. მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის, პირველ შემთხვევაში მცხოვრებნი იბეგრებიან მათი სურვილის მიუხედავათ, მეორე შემთხვევაში კი მიზნის განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია მცხოვრებთა სურვილზედ. პირველ შემთხვევაში იძულებას ადგილი აქვს, მეორე შემთხვევაში კი არავითარ იძულებას ადგილი არა აქვს. პირველ შემთხვევაში დაბეგვრა უმაღლესი მთავრობის ნებართვას თხოვს, მეორე შემთხვევაში კი მცხოვრებთა დასტურს. პირველი შემთხვევა კანონით გათვალისწინებულია და ადგილობრივ აღმასკომს უფლება აქვს შემოიღოს გადასახადი (იძულებითი) ამა თუ იმ სამეურნეო ზომის გატარებაზე დახარჯული ფულის ასანაზღაურებლად (ს. ა. კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 2 აპრილის დეკრეტის მეორე განყოფილების, მესამე თავის, მეექვსე მუხლის პუნქტი 8). ამ მუხლში ნათქვამია „გადასახადი იმ ქონებაზე, მფლობელობაზე, ნაგებობაზე და შენობებზე, რომლებიც ღებენ განსაკუთრებულ სარგებლობას ახლად შესრულებულ ხანგრძლივ საჯარო ზომებიდან (გაყვანა ახალი ან კაპიტალური შეკეთება არსებული ტროტუარების, ქვაფენილების, წყალსადენის და სხვა). „მხოლოდ გადასახადის რაოდენობა თვითეულ კერძო შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ". ჩვენ ამ გადასახადს უწოდებთ სპეციალურ მიზნობრივ გადასახადს, ე. ი. გადასახადს, რომელსაც განსაკუთრებული მიზანი და სპეციალური დანიშნულება აქვს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ადგილობრივი ორგანოები, აღნიშნულ კანონის ხსენებული მუხლით სრულიად არა სარგებლობენ და მხოლოდ იშვიათი შემთხვევა ყოფილა, თუ რომელიმე აღმასკომს ამის „წესზე" [illegible] შუამდგომლობა.

ვიმეორებთ, ამ გადასახადს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ადგილობრივ ხელისუფლებისაგან. მართალია არსებული კანონი ამ გადასახადის გატარებას ფორმალური ხასიათის მცირე დაბრკოლებით ზღუდავს, სახელდობრ სახალხო კომისართა საბჭოს დასტურს თხოვს თვითეულ შემთხვევაში, მაგრამ ეს მცირედი დაბრკოლება აუცილებელი სახელმწიფოებრივ მოსაზრებებით არის შემოღებული. ჩვენ კარგათ ვიცით და ეს ადვილი გასაგებიც არის, რომ ადგილობრივ მეურნეობის მესვეურთ დიდი სურვილები აქვთ და ყველა საჭიროების ერთბაშათ დაკმაყოფილება სურთ (ეს მათი მუშაობის პლიუსია). ადვილი შესაძლებელია ამ სურვილით გატაცებულმა ადგილობრივმა ორგანომ იმდენი რამის გაკეთება მოისურვოს და დაიწყოს [illegible] გადასახადის იმედით, რომ მთლიანად ამოსწუროს მცხოვრებთა ხარჯვადობის უნარიანობა და სახელმწიფომ ვეღარ შესძლოს გადასახადების აკრეფა. გარდა აღნიშნულის დაბრკოლებისა, ამ კანონით ადგილობრივ ორგანომ ჯერ უნდა გააკეთოს რამე, საიდანაც სარგებლობას მიიღებენ ქონების მფლობელნი და შემდეგ უნდა გადაახდევინოს მათ და ამ გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გატარებულ ზომაზე გაწეულ ხარჯების საერთო თანხას. ეს დაბრკოლება არსებითია და დიდი მნიშვნელობისა, რადგან ადგილობრივ ორგანოს დღეს დღეობით არა აქვს ისეთი დიდი და თავისუფალი თანხები, რომ მან შესძლოს ხანგრძლივ [illegible] ისინი რამე საქმეში, თუნდაც იმ იმედით, რომ შემდეგ აინაზღაურებს მას. მაგრამ ეს დაბრკოლებაც დაიძლევა, თუ ადგილობრივი ორგანო საკითხს სწორედ მიუდგება. აქ შეიძლება სესხის აღება თუნდაც იმავე მცხოვრებთაგან, სადაც ახალი ზომა უნდა იქნეს გატარებული, ან სახელმწიფო სალაროიდან. მაგრამ არც ერთის ადგილობრივ ორგანოს ასე არ დაუსვამს საკითხი მთავრობის წინაშე და ყოველთვის რაიმე ზომის გასატარებლად მთავრობისაგან ითხოვენ ყველანი დოტაციას, დახმარების სახით. მე არ შემიძლიან წინდაწინვე გადავწყვიტო, როგორ შეხედავს მთავრობა ამგვარ შუამდგომლობებს, მაგრამ ვფიქრობ, თუ მას მტკიცე გარანტია ექნება, რომ ადგილობრივი ორგანო სესხს დაუბრუნებს თავის დროზედ, მთავრობა ამგვარ შუამდგომლობებს დააკმაყოფილებს. ამას გარეშე, ხსენებული საკითხის გადაწყვეტა უფრო გაადვილდება, როდესაც გვექნება კომუნალური საკრედიტო ბანკი, საკმაო დიდი თანხით. რაც შეეხება თვითდაბეგვრას, რაიმე წვრილმან სამეურნეო მუშაობის საწარმოებლად, მცხოვრებთა ნებაყოფლობით, ეს მთლიანად დამოკიდებულია თვით მცხოვრებლებზედ. ხიდების გაკეთება, სასოფლო გზის შეკეთება და სხვა ამ გვარი ზომების განხორციელება, ეჭვი არ არის, მცხოვრებთა სურვილზედ უნდა იყოს დამოკიდებული და მათს უნარიანობაზე. ეს შედეგი უნდა იყოს მათი თვითშემოქმედების, და, მაშასადამე, უნდა ხდებოდეს შეგნებულად, რწმენით და ძალდაუტანებლივ, ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ სახელმწიფო ინტერესებიც.

მაგრამ თვითდაბეგვრის საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია რაიონის ბიუჯეტის საკითხთან და მისი სამართლიანი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ რაიონის ბიუჯეტის შემოღებასთან ერთად, ასევე სვამს საკითხს ამხ. დოლიძეც. ჩვენ ვფიქრობთ დამოუკიდებელი, მაზრის ბიუჯეტიდან გამოყოფილი რაიონის ბიუჯეტი დიდი საკითხია და მისი ყოველმხრივ გაშუქება აუცილებლად საჭიროა. ამიტომ ჩვენ ამ საკითხს შევეხებით ცალკე, შემდეგ წერილში.

გ. ხ.—ძე.

არჩევნები ბულგარეთში
გაიმარჯვა კომუნისტებისა და სოფლის მეურნეთა ბლოკმა

[illegible] 11 მაისი. კომუნისტებისა და სოფლის მეურნეთა ბლოკმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა სათემო საბჭოების არჩევნებში. ბლოკმა მთელს ბულგარეთში მიიღო 193 876 ხმა—150 ადგილი, რაც შეადგენს დეპუტატების მთელი რაოდენობის 24 პროც. მთავრობის პრესა შეშფოთებულია და მოითხოვს ძალების გაერთიანებას კომუნისტური და სოფლის მეურნეთა ბლოკის საფრთხის წინააღმდეგ.

გაზეთი „მთავრობის სიტყვა" სწერს: „კომუნისტებმა და სოფლის მეურნეებმა შეინარჩუნეს თავისი განმანადგურებელი ძალები, თავისი [illegible]რე. იდეურად და ორგანიზაციულად სოფლის მეურნეების მოძრაობას ხელმძღვანელობენ არალეგალურად მომუშავე კომუნისტები, რომელთაც ჰყავთ ინტელიგენტების გამოცდილი პოლიტიკური მუშაკების ძლიერი კადრი".

გაზ. „ეპოხა" ბრალს დებს მთავრობას კონსტიტუციის დარღვევაში და ტერორში, რამაც დამარცხება გამოიწვია.

სოციალისტური პრესა ბუნდოვანად სწერს, რომ სოციალისტები მზად არიან შეუთანხმდენ მთავრობას.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

გერმანიიდან მოსკოვში დაბრუნდა ამხ. კრესტინსკი

ბელგიაში ძლიერდება კამპანია ჩვენი ცნობის სასარგებლოდ

საგარეო საქმეთა კომისარიატმა ნოტა გაუგზავნა პოლონეთს იქ წარმოებულ ეროვნულ უმცირესობათა დევნის შესახებ

ჩვენ და გერმანია
ჩვენი წარმომადგენლის დაბრუნება

მოსკოვი. 12 მაისი ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბერლინში ამხ. კრესტინსკი და სავაჭრო წარმომადგენელი სტომონიაკოვი.

ურთიერთობა ბელგიასთან

ურთიერთობის განახლებისათვის

პარიზი. 10 მაისი. ბელგიის საზოგადოებრივი აზრი ცდილობს საკითხს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ. ბელგიის მსხვილი სამრეწველო კაპიტალის ორგანო „ეკო დებურს"-ი ჰპოულობს მრავალ საერთო ინტერესებს საბჭოთა კავშირსა და ბელგიის შორის და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას და მის ცნობას იურიდიულად.

რუმინეთის „სიფხიზლე"

კიშინიოვის „ოხრანკის" პროვოკაცია

ვენა. 10 მაისი. რუმინეთის მილიტარისტული ორგანოს—„უნივერსულ"-ის ცნობით, კიშინიოვის „ოხრანკამ", თითქოს აღმოაჩინა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო კიშინიოვის სადგურის აფეთქება 1 მაისისათვის, და კონფისკაცია უყო [illegible] ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებდენ ბესარაბიის მცხოვრებლებს გამოაცხადონ ფედერატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

კიშინიოვის ქუჩებზე გააძლიერეს ქვეითთა და ცხენოსანი პატრულები. მოედნებზე დადგეს ზარბაზნები.

რა ხდება გერმანიაში

მოხდა შეტაკება კომუნისტებს და ნაციონალისტებს შორის

შეტაკების დროს მოკლულ რამოდენიმე კაცი, დაჭრილ 50.

კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება რეაქციონერების წინააღმდეგ

მაკენზენი და ლუდენდორფი მოლტკეს ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე.

ბერლინი. 11 მაისი. ფელდმარშალი ფონ მაკენზენი და გენერალი ლიუდენდორფი კვირას ჩამოვიდენ ჰალეში მოლტკეს ახალი ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე მონაწილეობის მისაღებად. ჰალეს ქუჩები მორთულია ნაციონალური დროშებით. პოლიციამ ხვალ [illegible] უნდა შეასრულოს ძნელი ამოცანა—თავიდან აიცილოს კომუნისტების კონტრ დემონსტრაცია და კომუნისტების შეტაკება ნაციონალისტ პატრიოტებთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ძეგლის საძირკვლის ჩაყრის დღესასწაულში.

ჰალეს დაპყრობა ნაციონალისტების და ფაშისტების მიერ

ლონდონი. 11 მაისი. ხვალ ჰალეში მოხდება რეაქციონერ ძალების საერთო აღლუმი. ლიუდენდორფი, ფონ ტირპიცი, [illegible], ჰინდენბურგიც და აგრეთვე კაიზერის არმიის სხვა ხელმძღვანელები დაათვალიერებენ 40 ათას ფაშისტისაგან შემდგარ არმიას, რომელიც დღესასწაულობს „გერმანიის დღეს"

[illegible] ამ ქუჩაზე ნაციონალისტებმა და ფაშისტებმა, რომლებიც ზეიმობენ გამარჯვებას არჩევნებში, ხელში ჩაიგდეს ჰალე—„წითელი გერმანიის გული", ქალაქი მორთულია ნაციონალური დროშებით, არ მოსჩანს არც ერთი რესპუბლიკანური ან კომუნისტური დროშა.

კომუნისტების მოწოდება [illegible]

ლონდონი. 11 მაისი. მთავრობამ აუკრძალა კომუნისტებს ყოველგვარი დემონსტრაციები დღესასწაულის დღეს. მაგრამ კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს შეიკრიბონ ჰალეში და ხელში ჩაიგდონ ქალაქი. ფაშისტებს უბრძანეს არ გამოვიდნენ იარაღით და არ ჩაიცვან სამხედრო ფორმა, როგორც ეს იყო წინადღეს დემონსტრაციების დროს, რათა ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინონ მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო აგენტებზე, რომლებიც დაესწრებიან აღლუმს. მთავრობა, რომელმაც აღლუმის მოწყობის ნება მისცა ფაშისტებს, შიშობს, რომ აღლუმს მოჰყვება სისხლისმღვრელი შეტაკება. მთავრობამ დამხმარე ჯარები გაუგზავნა ჰალეში გარნიზონს.

მოკლულია 11 დაჭრილია დაახლოვებით 50.

ლონდონი. 12 მაისი. ჰალეში გაიმართა გერმანელ ფაშისტების და სამხედრო ორგანიზაციების აღლუმი. აღლუმში მონაწილეობა მიიღო 70,000 კაცმა. ჰალე დაიკავეს ფაშისტებმა. კომუნისტების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ქალაქის მახლობელ მიდამოებში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. დაჭრილია 50 კაცი. მოკლულია რამოდენიმე. ათასობით კომუნისტები, რომლებიც შეიკრიბნენ პარკში კონტრ-დემონსტრაციისათვის, გარშემორტყმული არიან ჯარებით.

პარიზი 12 მაისი. ჰალეში პოლიციის და კომუნისტების შეტაკების დროს მოკლულია 11 კაცი; დაჭრილია ძალიან ბევრი.

აჯანყება მესოპოტამიაში

ბერლინი. 12 მაისი. ინგლისის კოლონიების მინისტრის ცნობით, 4 მაისს მესოპოტამიაში მოხდა სერიოზული აჯანყება. მოკლულია მრავალი. ამჟამად წესრიგი აღდგენილია.

აჯანყება სირიაში

ანგორა 11 მაისი. ბეირუთის პრესის სიტყვით, საფრანგეთის 2000 ჯარისკაცმა [illegible] აჯანყების რაიონში. აჯანყებულებში მოხდა დეზორგანიზაცია. მათ შორის [illegible] მრავალია: ოსმალეთის პრესა აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები განაგრძობენ სოფლების წვას, წესრიგი მაინც არ არის აღდგენილი. საფრანგეთის პრესა სირიაში სწერს: „სირია იღუპება. ამის მთავარი მიზეზია მთავრობის მიერ მტკიცე და გარკვეული პროგრამის უქონლობა. მთავრობის კრება მხოლოდ ფიქციაა, დეპუტატები არ გამოხატავენ მცხოვრებთა აზრს, ისინი მხოლოდ პირად ინტერესებს ემსახურებიან. სირიას საჭიროება რეფორმები. მისი საზღვრები არ არის დაცული, ალექსანდრეტა დიდათ არ არის დაშორებული ოსმალეთის საზღვრიდან. საფრანგეთის საერთო პოლიტიკა ოსმალეთში არ არის [illegible]: აუცილებლად გადაყენებული უნდა იქნეს ოსმალეთის მთავრობა, რომელიც ერთნაირად ექცევა ფრანგებსაც და ბერძნებსაც და უყურადღებოდ სტოვებს საფრანგეთის კანონიერ პროტესტებს".

დამოკიდებულება პოლონეთთან

ჩვენი ნოტა პოლონეთის მთავრობისადმი

მოსკოვი. 12 მაისი. მიღებული ცნობებით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა გაუგზავნა პოლონეთის მთავრობას ნოტა პოლონეთში ეროვნულ უმცირესობათა შევიწროების შესახებ. უკრაინელ და ბელორუსელ მშრომელი მოსახლეობის გაუწყვეტელმა დევნამ აიძულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი დაესვა პოლონეთის მთავრობის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ლოიალურად იქნეს დაცული რიგის საზავო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს აღმოსავლეთის ოლქებში მცხოვრებ ჩვენს მონათესავე მოსახლეობის უფლებებს.

საფრანგეთი ინანებს

ჩვენი პოზიცია საფრანგეთისადმი.

პარიზი. 10 მაისი. წერილში, რომელსაც ხელს აწერს „კომუნისტი", „იუმანიტე" მიუთითებს საფრანგეთ-გერმანიის შორის არსებულ მტრობის გამომწვევ მიზეზებზე და ხაზგასმით აღნიშნავს რომ ინგლისი არ შეურიგდება საფრანგეთის ჰეგემონიას კონტინენტზე, იტალია და ესპანეთი თანდათან უფრო მჭიდროდ პოლიტიკურად, ბელგია [illegible] საფრანგეთთან, მცირე ანტანტა იშლება—ამიტომ საფრანგეთის პოლიტიკოსები კვლავ დაფიქრდებიან საბჭოთა კავშირზე.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი, რომელიც თანაუგრძნობს ყველა ჩაგრულებს, მტრულად არის განწყობილი რეაქციონური საფრანგეთის მიმართ. რუსეთის მუშების სიმპატია გერმანიის მშრომელების მხარეზეა. თუ გერმანიაში კვლავ გაძლიერდება მილიტარიზმი და რეაქცია, მაშინ საბჭოთა კავშირის სიმპატიები გადატანილი იქნება იმ ერებზე, რომლებიც აღშფოთებული იქნებიან გერმანიის იმპერიალიზმით. როდესაც საფრანგეთი განთავისუფლდება თეთრგვარდიელთა ემიგრაციის გავლენისაგან და უარს იტყვის რეაქციონერ პოლიტიკაზე, მაშინ შესაძლებელი გახდება საფრანგეთ რუსეთის შეთანხმება.

სერბია და საბერძნეთი

სერბიის ჯარების შეტევა ალბანეთში.

სტამბოლი. 11 მაისი. სერბიის ჯარების შეტევამ ალბანეთში [illegible] გამოიწვია ათინაში. პრემიერმა მოიწვია მინისტრების სასწრაფო სხდომა. ამავე დროს კორპუსების კომანდირები შეიკრიბენ სალონიკში შექმნილი მდგომარეობის გასარჩევად. სერბიის ჯარების დამსხდარ ნაწილებში ვრანგელელები საგრძნობ რაოდენობას წარმოადგენენ.

მდგომარეობა ავღანისტანში

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ლონდონი. 1[illegible] მაისი. „უორკერს უიკლი", რომელიც ეხება ავღანისტანის მთავრობის მიერ შემოღებულ რეფორმებს და ამით გამოწვეულ აჯანყებას, აღნიშნავს, რომ ავღანისტანის ვაჭრობა მრეწველობის განვითარება და სრული თავისუფლების მოპოვება მუშების და გლეხების მიერ შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი და დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის გზით. აჯანყებულების ბრძოლა—ეს არის ბრძოლა ავღანისტანის დამოუკიდებლობისათვის.

ბრიტანეთის მუშებმა მხარი დაუჭირეს ამ ბრძოლას, რადგანაც მათ აქვთ საერთო ინტერესები ავღანეთის მუშებთან და გლეხებთან.

სხვადასხვა ამბები

● **ხანძარი ჰამბურგში.** ჰამბურგში ცეცხლი გაჩნდა რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო საზ—მის საწყობს. ზარალი ერთ მილიონ ოქროს მარკას უდრის.

● **გლეხების გამოსვლები პოლონეთში.** პოლონეთის მრავალ ადგილებში გლეხები თავს ესხმიან მემამულეებს.

● **შიშს დიდი თვალები აქვს.** საფრანგეთის ფრანკი განაგრძობს დაცემას. საფრანგეთის მემარჯვენე წრეები ამაში გერმანიის ხრიკებს ხედავენ.

● **[illegible] გაფიცვა უნგრეთში.** უნგრეთის სამთომადნო წარმოების მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულია 20.000 კაცი.

● **[illegible] „იკან" მკვლელები.** იოკაგამის (იაპონია) საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე რვა იაპონელის, რომლებმაც მიწის ძვრის შემდეგ მრავალი მუშა დახოცეს. პროკურორი, ბრალმდებელის ნაცვლად, დამცველის როლში გამოვიდა. ბრალდებულებს მიუსაჯეს ორი წლის ციხე.

● **ახალი მთავრობა.** ფინეთში ახალი მთავრობა შესდგა.

● **არჩევნები ბულგარეთში.** საოლქო საბჭოებში არჩევნების შედეგი ასეთია: მთავრობის ბლოკმა მიიღო 350 მანდატი, კომუნისტებმა—150, ლიბერალებმა—14, სოციალ დემოკრატებმა—12, ნაციონალ დემოკრატებმა—4.

● **„[illegible]" შედეგი.** ნორვეგიის კომუნისტური პრესა იუწყება, რომ პოლიციამ მეფის სასახლის წინ დემონსტრანტების გაფანტვის დროს საშინელი სისასტიკე გამოიჩინა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფულის რეფორმა 2 თვის განმავლობაში.

მოსკოვი. 11 მაისი. 10 მაისს შესრულდება ორი თვე საბჭოთა ფულის ნიშნების გამოშვების კურსის დაწესების დღიდან. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი თვის განმავლობაში ფულის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობდა. [illegible] ჩვენი მანეთი პარიტეტის მიხედვით უდრის უკვე [illegible] უფრო მტკიცე ვალუტას—დოლარს. მოხდა საქონლის ფასების სტაბილიზაცია. ფულის სიმცირე და ხურდა ფულის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფულის რეფორმის პირველ ხანებში, ახლა უკვე თავიდან აცილებულია. ფულის რეფორმამ გააძლიერა ფულის მოთხოვნილება. ფულის მასა, რომელიც 10 მარტისათვის შეადგენდა 372 მილ. მანეთს, 6 მაისისათვის უკვე უდრიდა 451 მილ. მანეთს.

სახაზინო ფული გამოვა ხმარებაში ივნისიდან.

მოსკოვი. 11 მაისი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსის ამხ. კარკლინის ცნობებით, სახაზინო ფული [illegible] ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, ხმარებაში გამოვა მხოლოდ ივნისიდან.

ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირების განდევნა ბაზრიდან.

ხარკოვი 11 მაისი. სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების და წვრილმათ მოვაჭრე კერძო პირების დაახლოვების კამპანია, რომლის მიზანია ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირების განდევნა ბაზრიდან, დიდებულ შედეგებს იძლევა. ვაჭრობის სრულიად უკრაინის აქციონერულმა საზოგადოებამ და ნავთის სინდიკატმა სრულიად შესწყვიტეს საქონლის მიცემა ბითუმათ მოვაჭრე კერძო პირებისათვის; ისინი საქონელს აძლევენ მხოლოდ წვრილ ვაჭრებს 1000 მან. რაოდენობით და იმ პირობით, რომ ეს თანხა გადახდილი იქნეს 10 დღის განმავლობაში.

მალარიის მასიური ეპიდემია.

ეკატერინბურგი. 11 მაისი. მალარიამ ეკატერინბურგის ოლქში მასიური ეპიდემიის ხასიათი მიიღო.

ახალგაზრდათა კომკავშირის სრულიად საკავშირო გაზეთი.

მოსკოვი. 11 მაისი რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკამ დაადგინა ამა წლის ივნისიდან გამოსცეს კომკავშირის სრულიად საკავშირო გაზეთი.

ულიანოვსკის გუბერნია.

მოსკოვი. 11 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სიმბირსკი—ამ ქალაქს, სადაც დაიბადა ლენინი, ეწოდოს ულიანოვსკი ქალაქი, სიმბირსკის გუბერნიას კი—ულიანოვსკის გუბერნია.

წყლის ადიდება დნეპრზე.

ხერსონი. 11 მაისი. დნეპრის ადიდება გრძელდება. ალეშკის ნაპირები წყლით არის დაფარული

ყინულის დამტვრა ვოლგის ნაპირზე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 11 მაისი. ყინულის დამტვრა ვოლგის ნაპირებიდან ნიჟნი ნოვგოროდში დაიწყო ქალაქის სხვადასხვა ადგილებში და ის მეტად საშიშ ხასიათს იღებს.

ამხ. ტროცკი წითელარმიელთა პრესის შესახებ.

მოსკოვი. 12 მაისი. სამხედრო პრესის მუშაკთა თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ტროცკი, რომელმაც დაახასიათა წითელარმიელთა პრესის ამოცანები და აღნიშნა, რომ წითელარმიელთა პრესამ უნდა აღზარდოს არმიის რიგებში ჩამდგარი ახალგაზრდობა და ის უნდა გახდეს არმიაში ლენინიზმის სისტემატიური პროპაგანდის იარაღი

პარტიის ყრილობის ამოცანები

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის არსებობის შედეგები

ლენინგრადი. 12 მაისი. ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე ამხ. ზინოვიევმა მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მან პარტიის მომავალი ყრილობის ამოცანების შესახებ, აღნიშნა, რომ ყრილობა ჯამს გაუკეთებს ყოველის მხრივ ახალი ეკონომიური პოლიტიკის სამი წლის შედეგებს და ამ დროის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას შეაფასებს საერთაშორისო პოლიტიკური და შინაპარტიული თვალსაზრისით.

ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა ამტკიცებს იმას, რომ საერთაშორისო მბურჟუაზია, რომელიც ყოვლის მხრით თავს გვესხმოდა დარწმუნდა, რომ ცეცხლით და ხმლით მოქმედება საერთაშორისო პოლიტიკაში გაჭირდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დაბრკოლებები გადალახულია, ამას ამტკიცებს გერმანიის უკანასკნელი ამბები. ეჭვს გარეშეა ის, რომ გერმანიის პოლიციის ასეთი თავხედური გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის ნერვიულობა, რომელსაც იჩენს ის გერმანიის კომუნიზმის ზრდის გამო.

სამეურნეო მდგომარეობა.

შეეხო რა სამეურნეო საკითხებს, ამხ. ზინოვიევმა ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის მეურნეობის თანდათანობით გაუმჯობესებას. მუშების რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 1 300,000 ავიდა 1,565,000-მდე. შრომის ხელფასი თანდათანობით მტკიცეთ იზრდება.

მახინჯ მხარეებთან ბრძოლა.

ამხ. ზინოვიევმა ხაზი გაუსვა კოოპერაციის საკითხს, რომელიც ყოველის მხრივ განხილული იქნება ყრილობაზე უკვე ეხლაც ყველასათვის ნათელია, რომ კოოპერაციის საქმე დაიძრა მკვდარი წერტილიდან. მაგალითად, ივანოვო—ვოზნესენსკში სამი თვის განმავლობაში კოოპერაციის მუშაობა ათჯერ გაიზარდა. ასეთივე ცნობები მოდის მუშათა სხვა ცენტრებიდანაც. მუშებმა გაიგეს, რომ კოოპერაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ახალი ეკონომიური პოლიტიკის მახინჯ მხარეებთან საბრძოლველათ; კოოპერაცია, ლენინის სიტყვებით, „სოციალიზმის მშენებლობის დასაწყისია" ახალი ეკონომიური პოლიტიკა მესამე წლის თავზე მთელ რიგ ოლქებში დადებით შედეგებს იძლევა; ეს, რა საკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ოპტიმისტურათ უყურებთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. პარტიამ სამეურნეო დარგში აიღო პირველი სიმაღლეები და მტკიცეთ მიდის წინ, მაგრამ ის ნათლად ხედავს იმ საშიშროებას, რომელიც მოგველის ჩვენ წვრილი ბურჟუაზიის მხრიდან; პარტია დარწმუნებულია, რომ ის გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას.

ამხ. ზინოვიევის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ხაზს უსვამს ცეკას საერთაშორისო პოლიტიკის გამარჯვებას საბჭოთა მეურნეობის აღდგენას, მუშათა კლასის მდგომარეობის გამტკიცებას. ცეკას შინაპარტიული ხაზის სისწორეს, ე. ი. იმ ხაზს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა პარტიაში 200000 დაზგის მუშის ჩაბმა, ოპოზიციის ყველა ძირითადი იდეების სრულ დამარცხებას და ცეკას ხაზის სისწორეს კომინტერნის მუშაობის სფეროში.

პარტიული კონფერენციები

ციმბირის საოლქო პარტიული კონფერენცია.

ნოვონიკოლაევსკი. 12 მაისი. ციმბირის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე ამხ. კოსიორმა რ. კ. პ. ცეკას ციმბირის ბიუროს ანგარიშში აღნიშნა, რომ ციმბირში ადგილი აქვს პარტიული მუშაკების სიმცირეს. პარტიაში მიღების შესახებ შემოსულია 10,000 განცხადება, პარტიაში მიღებული იქნება 6,000 კაცზე მეტი. სოფელში პარტიული მუშაობა წინ მიდის. ციმბირის სახელმწიფო მრეწველობა დიდათ ფართოვდება. პრესა გაუმჯობესდა: გაზეთების საერთო ტირაჟი გაიზარდა 40,000 დან 130,000 დე.

ოდესაში დაიხურა საგუბერნიო პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ოდესის მრეწველობის ზოგიერთ დარგებში სამუშაო ხელფასმა გადააჭარბა ომამდე არსებულ რაოდენობას. მეტყავეები ღებულობენ ომამდე არსებული სამუშაო ხელფასის 110 პროც., მეთამბაქოები—110 პროც., ერბოს ქარხნების მუშები—112 პროც.

გუბერნიაში იზრდება პირველადი კოოპერატივების რაოდენობა. გუბერნიაში საერთოდ კოოპერაციაში ჩაბმულია მოსახლეობის 67 პროცენტი. უკანასკნელი 16 თვის განმავლობაში სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ბალანსი გაიზარდა 87 ჯერ, ბრუნვა 130-ჯერ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

ამხ. ხეივუდი და შიფრინი ბათომში.

ბათომი. 11 მაისი. ყველა პროფკავშირების მონაწილეობით გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს ამერიკის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. ხეივუდმა და გერმანიის კომპარტიის დელეგატმა—ამხ. შიფრინმა; ორატორმა განუმარტეს დამსწრეებს „რემედს"-ის მიზნები და ამოცანები და მოუწოდეს სოლიდარობისაკენ. მიტინგზე მოვიდნენ ამერიკის გემ „მენდოკინ ბილენდ"-ის მეზღვაურები და მიესალმნენ მიტინგს.

მიტინგი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. მიღებულია ერთხმოვანი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს პროფკავშირების ყველა წევრებს შევიდნენ „რემედს"-ში

ოხრა ბათომის მახლობლად.

ბათომი. 11 მაისი. ბათომის მახლობლად აღმოაჩინეს ოხრის მადანი აჭარის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველომ გაგზავნა ადგილობრივ კომისია, რომელშიაც შედიან ინჟინრები და გეოლოგები. წინასწარმა გამოკვლევამ დადებითი შედეგები მოიტანა.

ჩაის პლანტაცია აჭარაში

ბათომი. 11 მაისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევს ჩაის პლანტაციის გაშენებას აჭარაში. განზრახულია წელს ჩაის პლანტაციების მოედანი გადიდებულ იქნეს 24,000 დესიატინამდე.

პარტიული ცხოვრება

შორაპნის მაზრის მე-4-ე ლეგალური პარტ-კონფერენცია

28 აპრილს გაიხსნა ქალ. ჭიათურაში სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 79 დელეგატი და საქ. ცაკის წარმომადგენელი ამხ. მამია ორახელაშვილი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ორახელაშვილი მამია, მოდებაძე კარპე, ქეიშვილი სეფე, სულავა კლიმენტი, თათეიშვილი ვასილ, ჩიტიშვილი მარო, მგალობლიშვილი ტარასი, გაბარაშვილი კოტე და ნიკურაძე ალექსი. სამდივნოში იქნა არჩეული სამი ამხანაგი. სამანდატო კომისიაში სამი, საპატიო თავმჯდომარეებად ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, ცხაკაია მახარაძე, დუმბაძე, ოკუჯავა, ლომინაძე და ორჯონიკიძე სერგო.

დღის წესრიგი: საერთაშორისო მდგომარეობა, სამპარტკომის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში, ლენინიზმის პროპაგანდა, კოოპერაცია, არჩევნები. სამპარტკომის ანგარიშის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. სულავა. ახასიათებს ცალკე განყოფილების მუშაობას და საერთოთ დამაკმაყოფილებლად სთვლის მათ საორგანიზაციო განყოფილების შესახებ აღნიშნავს რომ პირველ ხანებში ეს განყოფილება სუსტობდა და დღეს კი მისი მუშაობაც დამაკმაყოფილებელია. ა. კ. კ. მუშაობაც დამაკმაყოფილებელია. მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს პროფესიონალური კავშირების მუშაობას და ამბობს, რომ პროფკავშირების მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებელია და თუ რომელიმე კავშირი ან ადგილკომი უმალ მოიკუტებდა და არ იყო ჩამოყალიბებული, დღეს მუშაობა გაჩაღებულია პროფბიუროს ხელმძღვანელობით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოთა აღმშენებლობას და აღნიშნავს რომ მუშაობა სასურველად მიმდინარეობს, აგრეთვე ეხება სასამართლოებში მუშური ელემენტების გაძლიერებას და სხვ. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. კ. სულავასი, შორაპნის მაზრის პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. კონფერენცია სამპარტკომის მუშაობას სთვლის სრულიად დამაკმაყოფილებლად.

ლენინიზმის პროპაგანდაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჯაფარიძემ.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები: სამპარტკომში ერთხმად იქნა არჩეული შემდეგი ამხანაგები: თათეიშვილი ვასილ, ქეიშვილი სეფე, ჩიტიშვილი მარო, მგალობლიშვილი ტარასი, სულავა კლიმენტი, სახელაშვილი ბაგრატ, შარიქაძე ტერენტი, ჩუბინიძე მიხეილ, ტორჩინავა ვასილ, ფერცხალავა იასონ, შარიქაძე ნიკოლოზ, კონტრიძე იაგორ და ჭუმბურიძე ვიქტორ. მათ კანდიდატებათ: ნიჟარაძე ალექსი, ლეჟავა ბიტოლი, მაჭარაშვილი დავით, და დარსაიძე ვანო.

სარევიზიო კომისიაში: გამეზარდაშვილი კალისტრატე, ლაბაძე ფილიმონი და მელქაძე დიმიტრი, კანდიდატად კაპანაძე იპოლიტე

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულ იქნა: ცხაკაია მიხა, ორახელაშვილი მამია, ვაშაძე ალექსანდრე, სულავა კლიმენტი, თათეიშვილი ვასილ, ქეიშვილი სეფე, შარიქაძე ნიკოლოზ, კონტრიძე იაგორ და ჩუბინიძე მიხეილ

კანდიდატებათ: სახელაშვილი ბაგრატ, ჭუმბურიძე ვიქტორ, მგალობლიშვილი ტარასი და ჩიტიშვილი მარო.

კონფერენცია დაიხურა 29 აპრილს საღამოს სრულ 10 საათზე.

გ. ტორჩინავა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.
(13 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

გირვ. სტერლინგ. ჩეკით — 8 მ. 52 კ.
„ ჩეკები — 7 მ. 90 კ.
დოლარი ჩეკით — 1 მ. 94 კ.
„ ჩეკები — 1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ერთ. — 90 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.
ფრანც. ფრან. 100 ცალი 9 მ. 40 კ.
ოქროს მანეთი 12 500 მილიონი.

სურსათის ფასები
(13 მაისი)

პური 1 ხარი.—6 კაპ პური 2 ხარ.—5 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 5 კ., შაქარი ფხვნილი—26 კ., კარტოფილი—2 კაპ., მაკარონი 14 კ., საპონი „ტრილლი" 22 კ., ფქვილი თეთრი № 0—10 კაპ.

თბილისის ბაზრის ფასები
(13 მაისი)

პური 1 ხარ. 8 კაპ., პური 2 ხარ.—6 კ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინ — 34 შაქარი ფხვნილი—26,5 კაპ, კარტოფილი—3 კაპ მაკარონ 16 18 კ.

ბირჟის მიწოდება

მზესუმზირას ზეთი, ქვიმნა (гречиха), გუთნები, სანთებელი, საღებავები (სხვადასხვა ფერისა), „ქიმგოლ"-ის პროდუქცია, „ცვეტმეტორეც"-ის პროდუქცია, გოგირდი „ხუშლიმე" და „ბუდა", ბურღული, ჩაი ჩინეთის და ცეილონის, ტყავის ლედები, „სახარტრესტ"-ის პროდუქცია, სახალ. მეურნ. საბჭოს საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „ქოლესინდიკატ"-ის პროდუქცია, (ცემენტი და ლინოლიუმი), შაბიამანი, შაბი (ქარვა), ოლიფის ზეთი, ფანჯრის მინა რკინის, ლარტინები, კანსტრუქციის ლითონი, ბამბა, მარტინის მადნეული, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), თივა (შეკრული). წერაქვები, თოხები და ბარები, სალომასი.

ბირჟის მოთხოვნილება

გუთნები (სხვა და სხვა ფირმების), კანის ბოთლები, ნაფთალინი, ჯაგარი, თუშური მატყლი, ნედლი ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ქვამარილი ნახიჩევნისა, „კოლესინდიკატ"-ის პროდუქცია. თეთრი თუნუქი, ფურცლოვანი რკინა (ბიდონებისათვის).

ოფიციალური გარიგებანი.

შაქარი ფხვნილი რუს.—10 მან. 15 კაპ ფუთ, და რაფ ნატეხი (ნატეხა)—12 მ. 15 კაპ ფ., ფრანკო—„სახარტრესტ"-ის საწყობი.

ბოთლები (მწვანე შუშის)—1 | 10—14 კვ. და 1 | 16—18 კ. ცალი, ფრანკო—თბილისი ვაგონი.

რკინის მილები (გაზის)—58 კაპ. 70 კ., 1 მ. 10 კ., და 2 მან. 60 კაპ ფუტი (Фут). ფრანკო-გამყიდველის საწყობი თბილისი.

წითელი ლობიო—70 კ. ფუთი, ფრანკო ვაგონი გორი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

თბილისის ბირჟის წევრთა საერთო კრება

ოთხშაბათს, 14 მაისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის შენობაში დანიშნულია ბირჟის წევრთა წლიური კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება შინავაჭრობის შესახებ, 2) ბირჟის მოქმედების ანგარიში 1923 წლ., 3) 1924 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 4) თბილისის საქმიანი კლუბის ორგანიზაცია, 6) საბირჟო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 7) მიმდინარე საქმეები.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

1—8 მაისამდე რეგისტრაციაში გატარებულია ბირჟის გარეშე დადებული 40 გარიგება, 79858 მანეთისა, ხოლო 9 მაისს—32 გარიგება—341912 მანეთის თანხისა, სულ 1 მაისიდან დადებულია 72 გარიგება—421770 მან თანხისა.

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის ოპერაციები.
(9 მაისი)

საფონდო განყოფილება.

1—8 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 32 საფონდო გარიგება—133254 მან; 9 მაისს—5 გარიგება—35112 მანეთის; 1 მაისიდან სულ 37 გარიგება—168366 მან. თანხისა.

ხორცის სექცია

1—8 მაისამდე დადებულია 77 გარიგება—36366 მან, ხოლო 9 მაისს 15 გარიგება - 4105 მან; სულ 1 მაისიდან 92 გარ.—40471 მან. თანხისა.

ფქვილზე ფასების დაწევა.

6 მაისიდან „ხლებოპროდუქტ"-ის თბილისის კანტორის მიერ კვლავ შემცირებულია ფასები ფქვილზე. ფულის რეფორმის დაწყებიდან ამიერ-კავკასიაში ეს მეორეჯერაა ფასების დაკლება ფართო მოთხოვნილების ძირითად პროდუქტებზე

სასოფლო მეურნეობა

ცოტა რამ ჩვენს მეაბრეშუმეობაზე.

საქართველოს ცენტრალურმა კოოპერაციულმა კავშირმა „ცეკავშირმა" 1924 წ სეზონისათვის აბრეშუმის თესლი თბილისის საბრეშუმო სადგურიდან, სადაც თესლის ავკარგიანობა შეამოწმეს, უკვე მიიღო აპრილის პირველ რიცხვებში.

თესლი პირდაპირ საბრეშუმო სადგურის უშუალოთ საბრეშუმო პუნქტებს გაუნაწილდა დასავლეთ საქართველოსაკენ აბრეშუმის თესლი გაიგზავნა სამი ვაგონით- თესლიანი ყუთები ვაგონებში ისე იყო მოთავსებული, რომ ყოველ სადგურზე, მატარებლის გაჩერების დროს შეიძლებოდა დანიშნულებისამებრ მათი ჩამოღება.

სამტრედიამდე სამივე ვაგონი ერთად მიდიოდა, მერე კი ისინი დაიყვნენ, ერთი დარჩა თითონ სამტრედიისთვის და მისი რაიონისთვის, ერთი წავიდა გურიის ხაზზე და ერთიც სამეგრელოსკენ. სადგურებზე მათ ხვდებოდენ საბრეშუმო პუნქტებიდან თესლის მიმღები პირები; ასე ამრიგად თესლი მეორე მესამე დღეს უკვე იყო თავის დანიშნულ ადგილზე.

თესლთან ერთად მიდიოდენ ინსტრუქტორები, რომელნიც აბარებდენ პუნქტებს თესლს და უხსნიდენ მათ თესლის მეაბრეშუმეებზე დარიგებამდის სათანადო მოვლას.

საბრეშუმო პუნქტებმა თესლი თავის მხრივ სასწრაფოდ გადასცეს მეაბრეშუმეთ; ასე რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში თესლი მეაბრეშუმეთ ქონდათ თავიანთ სახლებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს აბრეშუმის თესლის ჯიშები საგულდაგულოთ არის არჩეული. შეძენილია საზღვარგარეთული ცნობილი ფირმების თესლები, მაგალითად: ოსმალური თეთრი ბაღდადის ჯიშისა, ფირმა ბ ჯანისა 13093 ექვსი მისხლიანი—კოლოფი, ეტიხიდისა - 6000 კოლ. პაიხალიდის—2000 კოლ., ტაჯიანისა 6641 კოლოფი, სხვა ფირმებისა 2601 კ. ევროპიული თეთრი ბაღდადის ჯიშისა, ფერონის ფირმისა—13210 კოლ. საფრანგეთის აზნაურთა კავშირისა—19828 კოლ., ყვითელი იაპონიური იმავე ფირმისა 17250 კოლ. ადგილობრივათ იქნა შეძენილი იტალიური „ჩიჩი" ფირმის—6312 კოლ. ამას მიემატა ადგილობრივათ დამზადებული თეთრი და ყვითელი ოკეანის და ამხ. და ქუთაისის საბრეშუმო სადგურის 16276 კოლ. სულ 103151 კოლ. თესლის განაწილება მოხდა იმის და მიხედვით, რომელ რაიონში რამდენი საკვები მასალა იშოვებოდა. თესლის შეძენის მსურველები ჩამოტანილ მეტი აღმოჩნდა, მარა, საწუხაროთ, ხშირათ თესლი გააქვთ იმისთანა პირებს, რომელთაც იმისთვის არც სათანადო ბინა აქვთ და არც საკვები ფურცელი

ხშირათ იმისთანა შეუგნებელი მეაბრეშუმე აღმოჩნდა, რომ მოახერხა და სხვა და სხვა ადგილას ერთი და იმავე პირმა აილო ორი და სამი კოლოფი თესლი, რის მოვლაც მას არ შეეძლია. ზოგიერთ რაიონებიც თხოულობდენ რაც მიიღეს იმაზე მეტ თესლს, მაგრამ მათ დაკმაყოფილება საკვები მასალის საკლისობა, როგორც ნათქვამიდან ჩანს, წელს თესლის მიწოდებანი ძალიან დაიგვიანა და არ დარიგდა მით, მეაბრეშუმენი ძალიან დაინტერესებულნი არიან შარშანდელი საფასურის მიღებით.

წელს თესლი ძალიან სწრაფად დარიგდა. ეს მიეწერება „ცეკავშირის" და მისი მოკავშირე კოოპერატივების ხელმძღვანელთ ამ დარიგებისთვის სათანადოთ მოწყობას.

კავშირმა უკვე გადასცა მოკავშირე კოოპერატივებს 1923 წლის დიდი საქონლის დასარიგებლად და კოოპერატივებიც სასწრაფოდ ურიგებენ მისი მეაბრეშუმეებზე წილებს. როგორც იყო ნაჩქარევი მეაბრეშუმენი 1923 წლის დარიგებულობენ 6 მ. 71 კაპ. ფუთზე ქონლით და ვისაც ეკუთვნება ნაღდ ფულითაც.

აბრეშუმის თესლი განაწილდა მაზრებზე შემდეგ ნაირათ:

ქუთაისისაზე	— —	37748 კოლ.
შორაპნისაზე	— —	1650 „
სენაკისაზე	— —	14427 „
ზუგდიდისაზე	— —	17456 „
ოზურგეთისაზე	—	22723 „
თელავისაზე	— —	5091 „
სიღნაღისაზე	—	1555 „
გორისაზე	— —	590 „
თბილისისაზე	—	161 „
აფხაზეთზე	— —	1650 „
ქობულეთი	— —	100 „
სულ		103 51

აბრეშუმის თესლის დარიგება ხდებოდა იმნაირათ: ჯერ საბრეშუმო პუნქტი მაცლებდა თესლს, შე ნახავდა სათანადო ადგილას, შემდეგ აცხადებდა, ან სიტყვიერათ ან და წერილობით თავის სამოქმედო რაიონში რომ ამ და ამ დღიდან იწყება აბრეშუმის თესლის რიგება პირველ რიგში თესლს ურიგებდენ შარშანდელ მეაბრეშუმეთ და მერე კი ახალ ყველა საბრეშუმო პუნქტებს ქონდა გაგზავნილი ცენტრიდან ცნობა, როგორ უნდა ემოქმედათ თესლის დარიგების დროს. თუ ვინმე განსაზღვრულ დროისთვის შარშანდელი მეაბრეშუმე არ გამოცხადდებოდა თესლის მისაღებათ, მას მაგიერ აძლევდენ და თესლს მიიღებდა ყველა, ვინც სურვილს გამოსთქვამდა და სათანადოთ ხილს მოამზადებდა ლებზე. იმისათვის, რომ მეაბრეშუმემ მიიღოს ხეირი და კარგი ხარისხის პარკი, საჭიროა შემდეგი: 1) და თავის დროზე შეეძინოთ კარგი ხარისხის თესლი; 2) შეეძინოთ იმდენი თესლი, რამდენისათვისაც ყოფნის ჩვენი საკვები მასალა (ფოთოლი) და ბინა, რომ მას ხანებში ჭიის ცხოვრებისა, რაც შეეფერება მიხედვით დაესვენება; 3) გამოვიყვანოთ თავის დროზე; 4) ვაჭმოთ ჭიებს ცოტ ცოტა და ხშირათ; 5) დავიცვათ სისუფთავე წინათ მეაბრეშუმენი თვითონ ყიდულობდენ აბრეშუმის თესლს, მაგრამ გავრცელების შემდეგ ყველა მუნდა, რომ ამნაირი დამზადებული თესლი ნა და ამჯობინებენ შეიძინონ (ევროპულათ დამზადებული თესლი მასთან საბრეშუმო სადგურის მოწმებული. ამ რიგათ დამზადე

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

(ამხ. ბ. ლომინაძის მოხსენება*).

შინა პარტიული მდგომარეობა

შინაპარტიული ბრძოლა წარსულ წელში.

ჩვენი შინაპარტიული მდგომარეობა წარსული წლის განმავლობაში ხასიათდება მწვავე ბრძოლით. ეს ბრძოლა სწარმოებს არა მარტო წარსული წლიდან, ის სწარმოებს მთელი სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში. 1921 წლის დასაწყისში ამ ბრძოლას არ ჰქონდა მოწესრიგებული ხასიათი მაგრამ, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, დახლოებით 1922 წლის შემოდგომიდან მებრძოლი ძალები უკვე ჩამოყალიბდენ და ამ ბრძოლას უფრო სისტემატიური და უფრო გარკვეული ხასიათი ეძლევა. შინაპარტიული ბრძოლა პარტიის შიგნით გაგებული უნდა იქნეს არა როგორც ბრძოლა ორ ნაწილს შორის ჩვენს პარტიაში. უკვე 1922 წელში ბრძოლა სწარმოებს პარტიის დიდ უმრავლესობასა, მთელს პარტიულ ორგანიზაციასა, და პარტიის წევრების უმნიშვნელო ჯგუფს შორის. ეს ჯგუფი ცდილობდა ორ-სამ ადგილობრივ ორგანიზაციის. საკითხი ჩვენი შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ განხილული იქნა რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. არის სათანადო რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში აღიარებულია საქართველოში ფრაქციული ჯგუფის შექმნის ფაქტი.

რ. კ. პ ც. ს. კ. აღიარა, რომ ჩვენი შინაპარტიული ბრძოლა საქართველოში უკანასკნელ ხანებში ატარებდა არა პრინციპიალურ უთანხმოებათა, არამედ არაიდეურ, უპრინციპო ხასიათს. და მართლა აშკარა პოლემიკა პრინციპიალურ საკითხებზე არ ყოფილა სწარმოებდა ბრძოლა წვრილმან, პირად და კერძო საკითხების გამო.

მაგრამ მაინც ბრძოლას საკმაოთ ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა და მთელი ხნის განმავლობაში ერთგვარის სიმძაფრით სწარმოებდა.

რომ შინაპარტიულ ბრძოლას და ჯგუფობრივობას საფუძვლად არ სდებოდა პრინციპიალური ხასიათის უთანხმოება, ჯგუფობრივობას ჩვენს პარტიაში ხანმოკლე ხასიათი ექნებოდა. ის დაიშლებოდა წარმოშობის მეორე დღესვე.

ჯგუფობრივობის ფესვები

მაგრამ ეჭვს გარეშეა ჩვენი ჯგუფობრივობის ფესვები პრინციპიალური ხასიათის უთანხმოებაში უნდა ვეძიოთ თქვენ იცით, რომ ჩვენ გვქონდა უთანხმოება ნაციონალური საკითხის გადაჭრაში. ამ საკითხში ჯგუფმა გამოაშკარავა გარკვეული გადახრა ნაციონალიზმისაკენ

სადაო საკითხები

მეორე საკითხი, რომელმაც უთანხმოება გამოიწვია—ეს იყო საკითხი იაფ საქონელზე ორიენტაციის შესახებ, როცა ამხანაგები ამბობდენ, რომ რუსეთის ბაზართან კავშირის საჭიროებას უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა ორიენტაცია იაფ საქონლისაკენ, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის, თუგინდ უცხოეთიდან,

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ასეთ პლატფორმას უკანასკნელ საერთო პარტიულ დისკუსიაში ჰქონდა ადგილი და ის დახასიათებული იქნა, როგორც გარკვეული წვრილ ბურჟუაზიული გადახრა.

სადაო იყო საკითხი აგრეთვე ამიერ კავკასიის ფედერაციის შესახებ საქმე მიდიოდა ისეთ ნაციონალისტურ გადაჭარბებამდე როგორც არის დეკრეტი საზღვრების დაკეტვის შესახებ.

ასევე მენშევიკების საკითხის შესახებაც ამხანაგების ნაწილი წინააღმდეგი იყო ტერორისტული აქტების მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტია კი მთლიანად ტერორს მენშევიკების მიმართ აუცილებლათ სთვლიდა.

უთანხმოებას ადგილი ჰქონდა აგრარულ საკითხშიაც ერთი ამხანაგები წინადადებას იძლეოდენ გატარებული ყოფილიყო მიწის რეფორმა თანდათანობითი ღონისძიებების სახით, რომელსაც ცენტრიდან მხოლოდ და მხოლოდ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი გაატარებდა. ჩვენ კი მხარს უჭერდით [illegible] გლეხების რევოლუციას სოფელში.

აი, ამხანაგებო, როცა ჩვენ მივმართავთ ამ უთანხმოებებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ჯგუფობრივობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიაში, გამოწვეული იყო არა პროლეტარული სტიქიის გავლენით ჩვენი პარტიის ზოგიერთ ელემენტებზე.

გადახრას წინადაც ჰქონდა ადგილი

მეორე მხრით არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში გადახრას მტკიცე ბოლშევიკური ხაზიდან ადგილი ჰქონდა წინათაც. მე არ მსურს მოვახდინო ისტორიული ექსკურსიები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მთავარი საკითხი ძალაუფლების შესახებ 17—18 წლებში ჩვენ ვერც დავსვით და ვერც გადავწყვიტეთ. და უფრო მეტი: როცა დაიწყო გლეხების აჯანყება—პარტიამ ვერ გამოიყენა ის ბოლომდე საკითხს (ოსმალეთ საქართველოს) თვის შესახებ პარტია აქ ყოველთვის არ სწყვეტდა ბოლშევიკურად. პრაქტიკაზე ცალკე ორგანიზაციების მოქმედებაში საქმე ზოგჯერ სოციალ-პატრიოტიზმამდე მიდიოდა.

ავიღოთ ასეთი ფაქტი, როგორიც ქუთაისის აჯანყება. ჩვენ საქართველოში ვერც დავსვით და ვერ გადავწყვიტეთ ის საკითხიც, რომელიც დააყენა გლეხების აჯანყებების ტალღამ.

ამრიგათ, ჩემის აზრით საქართველოში წინადაც არ ყოფილა ბოლომდე მტკიცედ გატარებული ბოლშევიკური ხაზი. ამაში არაფერი არ არის გასაკვირი, რადგან ბოლშევიზმი არის მოძრაობა წმინდა მუშური და ის ვითარდება იქ, სადაც სწარმოებს ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ბრძოლა მეთორმეტე ყრილობამდე

ბრძოლა ჩვენში სწარმოებდა მეთორმეტე ყრილობამდეც. იყო გამწვავებული დისკუსია მთელი რიგ ძირითად საკითხების გარშემო შემდეგ წარსული წლის შემოდგომაზე ჩვენ გავხსენით დისკუსია შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე და აქ ადგილი ჰქონდა ფრაქციული ბრძოლის განმეორებას. უკლონისტები გამოვიდნენ ამ დისკუსიაში, როგორც შეკავშირებული ფრაქცია, რომელიც რუსეთის ოპოზიციასთან შეთანხმებულათ გამოდიოდა. დისკუსიის შემდეგ შინაპარტიული ბრძოლა საქართველოში და ჯგუფის მოღვაწეობა განსაკუთრებულ სპეციფიურ ელფერს იღებს. იმის შემდეგ, როცა პარტიულმა კონფერენციამ მიიღო პარტიის ყველა წევრებისათვის სავალდებულო დადგენილებები, ამას შემდეგ ბრძოლა გამოიხატა წვრილმანი უპრინციპო ჩხუბში კერძო საკითხებზე და თუმცა ჩვენ შევსძელით, რომ ავადმყოფობა პარტიის ზედა ფენებს არ გასცილებოდა და ამ სახით ბრძოლა არ ყოფილიყო გადატანილი პარტიაში, მაგრამ მან არევ დარევა შეიტანა ჩვენს რიგებში და ამიტომ მეტად საშიში მოვლენა გახდა. ამხანაგებო, თუ როგორი ხასიათი მიიღო შინაპარტიულმა ბრძოლამ, დაინახავთ თუ გინდ სიხარულიძის საქმის მაგალითზე.

მეორე მხრით შესაძლებელი გახდა ისეთი ფაქტები, როგორც უსახელო წერილების გაგზავნა ცენტრალურ კომიტეტში, ისეთი დოკუმენტების გაგზავნა, რომლებიც წააგავდენ სიმართლეს, მაგრამ პროვოკაციული ხასიათი ჰქონდათ ეს ხელმოუწერელი საბუთები გადაეცა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. უკანასკნელმა ისინი ყოველმხრივ განიხილა და გამოიტანა მათ შესახებ დადგენილებები არა ამ საბუთების, არამედ ნამდვილი ფაქტების მიხედვით, რომელთა შეკრება მან მოახერხა.

შინაპარტიული ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ

უნდა ითქვას, რომ ის უმთავრესად სწარმოებდა პარტიის ზედაფენებში. პარტიის ქვედაფენები პირდაპირ ბრძოლას ჩამოშორდენ, დისკუსიიდან კი უმრავლესობა გაჯანსაღებული გამოვიდა. დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო ზედაფენი, რომელსაც თანდათანობით შორდებიან ცალკე ელემენტები. მართალია, ჩამოშორებულებს ლანძღვა გინებით აცილებდენ, მაგრამ მაინც შორდებოდენ. ახლა, ამხანაგებო, როცა საქმე იქამდი მივიდა, რომ დაშლა და ავადმყოფობა გაძლიერდა, ცენტრალურმა კომიტეტმა (იმას გამო, რომ თავისი ძალებით შინაპარტიულ ავადმყოფობას ვერ სძლია)

საკითხი რ. კ. პ. ც. ს. კ. წინაშე

დასვა. რ. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის მდგომარეობის შესახებ ყოველმხრივ განიხილა და მიიღო თავისი დადგენილება.

უნდა ითქვას, რომ რ. კ. პ. ც. ს. კ ჩარევის შემდეგ, ჩემის რწმენით, ჩვენი საქართველოს ორგანიზაცია შევიდა განვითარების ახალ ფაზაში, როცა შინაპარტიული მდგომარეობა განისაზღვრება არა ბრძოლით, არამედ მთლიანობის განმტკიცებით. უნდა ითქვას, რომ ც. კ. შეეცადა საერთო ენა გამოენახა ამხანაგებთან, რომლებიც იბრძოდენ ჩვენს წინააღმდეგ, საერთო ენა გამოენახა, რომ ბოლო მოღებოდა ურთიერთ განცალკევებისათვის, უნდობლობის, ბრძოლასა და უთანხმოებას, მიუხედავად იმ პირადი თავდასხმისა, რომელიც თითეულმა ჩვენგანმა განიცადა.—მე კი, თქვენმა მონამორჩილმა ყველაზე მეტი განვიცადე,—რომ დამდგარიყო თავის ჟინიანობაზე, თავის თავმოყვარეობაზე მაღლა და შევთანხმებულიყავით საერთო პარტიული მუშაობის შესახებ. ჩვენ თითქოს ვნახეთ.

საერთო ენა.

და თბილისის ორგანიზაცია იყო პირველი გაუბედავი დემონსტრაცია ჩვენი პარტიის რიგებში ნამდვილი მთლიანობის დამყარების ცდის. ყველაზე უფრო ავტორიტეტული და გავლენიანი ამხანაგების ნაწილი, რომლებიც ოპოზიციაში იმყოფებოდენ, ახლა ჩვენთან მოდიან, რომ იმუშაონ ერთ რიგებში. ძველ სადაო საკითხებს აღარ აყენებენ: მართალია, არიან ზოგიერთი ამხანაგები, ისინი ცოტანი არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ მექანიკურად უნდა დამორჩილონ უმრავლესობის გადაწყვეტილებას, მაგრამ მაინც უნდა მიელოდონ იმას, რომ პარტია დასთანხმდეს თავისი ჯერ უარყოფილ მათ შეხედულებებზე. მე ვფიქრობ, რომ თბილისის კონფერენციამ, რამდენადაც მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისათვის ამ მთლიანობის პირველი დემონსტრაცია უკვე მოგვცა.

როგორი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე

მომავალში და რას აკეთებდა ცენტრალური კომიტეტი წარსულში. მეორე რა—ჯგუფობრივობა იყო, მაგრამ აკეთებდა კი რამეს ცენტრალური კომიტეტი, რომ მთლიანობა შეექმნა პარტიაში? აი როგორი საკითხი დგას ჩვენს წინაშე? ამ საკითხზე ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ. მე გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ პირველ დღიდანვე ც. კ აიღო კურსი უთანხმოებათა აღმოფხვრის, ნამდვილი და არა ფორმალური მთლიანობის შექმნისაკენ. ამ მხრივ ცენტრალურ კომიტეტს მოუხდა მუშაკების გამონახვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მუშაობის წარმოება ისე, რომ თვით სიტყვა „უკლონისტი" დავიწყებული ყოფილიყო. აპრილიდან ოქტომბრამდე და ნოემბრამდე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ყველა ზომები, რაც კი შესაძლებელი იყო, რომ როგორმე ეს მტრული ჯგუფი გათქვეფილიყო პარტიაში და რომ ავადმყოფობას ბოლო მოღებოდა მშვიდობიანი გზით მაგრამ დაიბადა დისკუსია. და როცა დაიწყო ბრძოლა და ჩხუბი ერთი მხრიდან, მაშინ ბუნებრივად დაიწყო ჩხუბი მეორე მხარემაც. ჩვენ ვცემდით, ვუბრაგუნებდით ერთი მეორეს, როგორც შეგვეძლო და მას ვინც უფრო სუსტი იყო, მეტი მოხვდა. რამდენადაც ბრძოლა დაიწყო, ჩვენ ხელი მივეცით მას ისე, რომ ზოგიერთებს მაგრათ მოხვდა, მოგვხვდა ჩვენც ჩვენ ნები ჩაებენ ბრძოლაში ძირითადი პარტიული საკითხების გამო, რომლებშიც ერთი გოჯის დათმობაც არ შეიძლებოდა. პარტიული კომიტეტი. ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა მიემართა საკონტროლო კომისიისათვის. შემდეგში რამდენიმე პირის მობრუნება უკვე დაიწყო, ხელმძღვანელმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ შინაპარტიული ბრძოლის ნაშთები აღმოფხვრან. ეს არის ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. პრაქტიკათ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ სწორი ხაზი გვქონდა აღებული და თქვენ მიერ ახლად არჩეული კომიტეტი ამ ხაზს მომავალშიც გაატარებს.

ჩვენი მეორე ამოცანა

მდგომარეობს იმაში, რომ მოვიშოროთ ამ ავადმყოფობის სოციალური ფესვები, ის კი მდგომარეობს ჩვენი პარტიის წვრილბურჟუაზიულ შემადგენლობაში. აქ ჩვენს ამოცანას საგრძნობლათ აადვილებს პარტიაში ახალი წევრების მიღება. ჩვენ ყოველთვის იქით გვეჭირა გეზი, რომ გაგვეძლიერებია კომპარტიის პროლეტარული შემადგენლობა. ახლა პარტიაში ახალი წევრების მიღება, რომელიც უკვე თავდება, პარტიას აძლიერებს 4,000 მუშით. ეს ერთბაშად რადიკალურად გააჯანსაღებს ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობას. ეს ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ვიქონიოთ ჩვენს პარტიაში 50 პროცენტი მუშები. ვფიქრობ, საეჭვოა, რომ ასეთი შემადგენლობის დროს პარტიაში დარჩეს რაიმე ავადმყოფობა.

კიდევ ერთი ამოცანა

ჩვენ, ჩვენი პარტიის რიგები უნდა შევამოწმოთ. ქალაქის ორგანიზაციების უჯრედებში ჩვენ გვყავს 3,700 კომუნისტი. ამათგან ნაწილია მუშები, რომლებიც დიდი ხანია ჩამოშორდენ მუშაობას წარმოებაში, დიდ ნაწილს კი შეადგენს წვრილი ბურჟუაზიის ბანაკიდან გამოსული ინტელიგენცია. ამ ნაწილთან ჩვენ მოგვიხდება მოქცევა ისევე, როგორც მოიქცა რ. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია მოსკოვში, სახელდობრ კი—უნდა შევამოწმოთ ჩვენი პარტიის ეს არაპროლეტარული ელემენტი და ვინც მერყევია, მოვაცილოთ პარტიიდან. როცა ჩვენს რიგებს შევავსებთ პარტიაში ახლად მიღებული მუშებით და მოვაცილებთ მერყევ ელემენტს, ამით ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის მთლიანობას.

ჩვენი პარტიის გასამაგრებლათ

საჭიროა შინაპარტიული დემოკრატიის გატარება, გატარება მტკიცედ, პატიოსნად, მეცამეტე პარტიული კონფერენციის დადგენილებების თანახმად. ცენტრალური კომიტეტი წარსულში ამ მხრივ სრულიად უცოდველი არ ყოფილა. ჩვენ დისკუსიამდი მთლიანად არ ვატარებდით იმ გეზს, რომელიც შემდეგ მიღებული იქნა ჩვენი პარტიის მიერ. მაგრამ უკვე დისკუსიის დროს ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო ახალი კურსი და გადაუხვევლად ატარებს მას ცხოვრებაში. ჩვენ ავიღეთ კურსი შინაპარტიული დემოკრატიისაკენ და არც ერთხელ ამ გზიდან არ მცდარვართ. მაგრამ ჩვენ წინაშე დიდი დაბრკოლებები არის. ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ყველა მუშაკები, სანამ რაიმე საკითხს გადასწყვეტდით, განიხილავდით, ხომ შეიძლება მისი პარტიის უფრო ფართო წრეებში გადატანა?

ავიღოთ მაგალითად საკითხი კოოპერაციის შესახებ, აგრეთვე საკითხი სატყეო და მიწის კოდექსის შესახებ—ეს საკითხები მთელმა პარტიამ განიხილა. მთელ რიგ სხვა საკითხებს ჩვენ ვწყვეტდით ც. კ არა ვიწრო კოლეგიაში, არამედ პლენარულ სხდომებზე ადგილების წარმომადგენლებთა დასწრებით. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ და მომავალშიც გავატარებთ ასეთ ხაზს. მაგრამ დაბრკოლებები აქ კიდევ ბევრია. საჭიროა გადაჭრით შევცვალოთ მუშაობის ზოგიერთი ფეხმოკიდებული მეთოდები. გარდა ამისა, დაბრკოლებაა კიდევ მდგომარეობა ჩვენი პარტიის კულტურულ და პოლიტიკურ ჩამორჩენილობაში.

ამ წლის განმავლობაში

ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ პოლიტიკური ბრძოლის დარგში, ნაციონალური საკითხის გადაჭრაში ჩვენ დავიპყარით მთელი რიგი ორგანიზაციები, როგორც კოოპერაცია და სხვა, ჩვენ დაბოლოს მივაღწიეთ ჩვენი პარტიის მთლიანობის გამაგრებას. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, მრეწველობის დარგში ჯერ კიდევ სუსტათ მოძრაობს წინ. საერთოდ ჩვენი სამეურნეო განვითარება ნელა მიდის წინ, პოლიტიკურ სფეროში კი—უდიდესი მიღწევები გვაქვს. მომავალი წელი უნდა შეიქნას ჩვენი პარტიის კიდევ უფრო გამაგრების, მასში მუშური ელემენტის გაძლიერების და ჩვენი მეურნეო მიღწევათა განვითარების წლიწადად (ტაში).

11 მაისის დილის სხდომა.

დილით სწარმოებს სოფლად მუშაობის სექციის სხდომა ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

საერთო სხდომაზე სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის შესახებ იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ამხ. ხუნდაძე, ბრეგაძე, ზახტაძე, სიამაშვილი, ჩხენკელი და ელიავა, საბოლოო სიტყვით გამოდიან მომხსენებლები ამხ. გ. კანდელაკი, გ. წიგწივაძე და ა. [illegible]მაიშვილი.

ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო თავის რეზოლუციის საფუძვლად ამხ. წიგწივაძის თეზისები, რომლებიც დასამუშავებლად და გასასწორებლად გადაეცა კოოპერატიულ სექციას.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 105,106. დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა განსაკუთრებული მისია ვ. მესხის, ა. რუხაძის და დ. ვაშაკიძის შემადგენლობით, რომლის ნსაც შეადგენს, როგორც თეთრ-გვარდიელთა ჯარის, ისე უცხოელთა რების ინტერვენციით მიყენებული ზარალის გამორკვევა ტფილისსა და ს მაზრაში.

ყველა მოქალაქემ, ვისაც მოეპოვება ცნობები ინტერვენციით მიყენე- ლი ზარალის შესახებ, აგრეთვე ყველა იმან, ვისაც რაიმე პრეტენზია უცხოეთის სახელმწიფოს მიმართ, უნდა წარადგინოს ცნობები ზარალის ხასიათის და რაოდენობის შესახებ კომისიაში შემდეგი მისამართით: ლის სტატისტიკური განყოფილება ამხ. ა. რუხაძეს.

ტფილისიდან და მისი მაზრიდან უმთავრესად წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები და პრეტენზიები ზარალის კონკრეტიული რაოდენობის აღნიშვნით:

1) რომელ კერძო და საზოგადოებრივ სახლებში იყვნენ დაბინავებული ანტანტის ჯარები
2) რა კომუნალური სამსახური გაუწია მათ.
3) რა დანაკლისი და ზარალი მიაყენეს შენობებს.
4) რომელ კერძო ბინებში იყო მოთავსებული ჯარის სარდლობის შემადგენლობა და რა პრეტენზიები წარუდგინა მან კერძო მოქალაქეებს.
5) რა ვალი გაიყოლიეს კერძო მოქალაქეებისა.
6) უბედური შემთხვევები, მკვლელობანი, დაჭრა, ცემა, დაპატიმრება, გაუპატიურება და სხვა.

რაიკომის აღმასკომებს ევალებათ გამოარკვიონ რაოდენობა იმ ზარალის, რომელიც ანტანტის ჯარებმა გლეხობას მიაყენეს: ჩამორთმევა ხორბლის, საქონლის საკვებისა და სხვა.

კომისიის წევრები ვ მესხი, რუხაძე, და დ. ვაშაკიძე.

ნ 1127 1—1

ო თესლი არ არის დაავადებული ლი და ღირს უფრო ძვირადაც. წინეთ ამ ღირებულებას მეაბრე- მეთათვის დიდი მნიშვნელობა და, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ლზე პარკის მონოპოლია შემოი- ს, ამ ღირებულების მეაბრეშუმე- თვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგ ამ თესლის ღირებულებას ის ღარ იხდის. თესლის ღირე- ა მას ებარება პარკის ჩაბარე- ს შემდეგ საბოლოო ანგარიშის რების დროს.

რეთ ხდებოდა წინეთ, რომ რეშუმე თესლი ესაჭიროებოდა, რამ ის ამ საჭიროებისათვის იმ როს ფულს ვერ შოულობდა, ნისიათ არავინ აძლევდა და ასე რჩებო- უთესლოთ როგორც ვიცით სა- ოდ თესლის შეძენის სეზონი ის გაზაფხული, და ამ დროისთვის ელში ფულის დიდი ნაკლებობაა. კი სულ სხვაა და გლეხი ღი- ის ხალისით კიდებს ხელს ამ დარგს. ვიცოდეთ, რომ თესლი შეიძ- ბა გაფუჭდეს შეძენის შემდეგაც. ამისათვის მას უნდა სათანადოთ ხვა. თესლი საზოგადოთ იყიდება მაისელიანი კოლოფებში. მეაბრე- ე თავიდან უნდა გაითვალისწინ- , რამდენი თესლი უნდა შეიძინოს ; ამისათვის საჭიროა იცოდეს, ნ თესლს იყოფა მისი ფოთლის ცელი და ბინა. თუ მას ფურცე- ი საკმარისი შეეძინა, მაშინ მისთვის ბრეშუმეობა დიდათ ხელსაყრელი იქნება. საზოგადოთ ერთ კოლოფ თესლს სჭირდება 50 60 ფუთამდის ფოთოლის ფურცელი.

სისაღის და სიმრავლის გარდა საჭიროა კიდევ ვიცოდეთ შეძენილი თესლის ჯიშიც. ამ მხრივ შეიძლება კაცმა ურჩიოს ჩვენს მეაბრეშუმეებს ყვითელი ევროპული ჯიშები და ან თეთრი ბაღდადური.

ევროპიული ჯიშები იძლევიან პარკს და ძაფს საშუალოთ კარგი ხარისხისას, მაგრამ თხოულობენ კარგ მოვლას; ბაღდადის ჯიში კი იძლევა უფრო მდარე პარკს და ძაფს, მაგრამ სამაგიეროთ უფრო ამტანია და იძლევა უფრო მეტ მოსავალს, თუ მეაბრეშუმეს აქვს შედარებით კარგი ბინა აბრეშუმის მოსაყვანათ შეუძლია ბეჯითათ მოუაროს, მას ურჩევდით შეეძინა ევროპიული ყვითელი ჯიშის თესლი, და თუ ბინა ამისთანა არ მოეპოვება და თანაც არ შეუძლია ბეჯითათ მოუაროს ჭიას, მაშინ ისევ სჯობია შეიძინოს ბაღდადის ჯიშის თესლი. ამ უკანასკნელ ჯიშს ჩვენში დიდი მოთხოვნილება აქვს და ამისათვის ის ჩვენში საექსპორტო ჯიშია.

ეს ჯიში ერთი წლიანია, იცის მსხვილი და წელში გაწყვეტილი თეთრი პარკი. ამ ჯიშის თესლი ძალიან მოსწონთ ჩვენს მეაბრეშუმეთ, რადგან, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, ის უფრო მეტი ამტანია, მოსავალიც ბლომათ იცის და ყველაზე უფრო ხელ მისაწვდომია.

ა. ჭაკაშაძე.

საქ. წითელ ჯვარში

— საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრ. კომ ტეტმა მიიღო საერთაშორისო კომიტეტისაგან მოსაწვევი ბარათი წითელი ჯვრის მორიგი მეთორმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობისათვის. კონფერენციის დღის წესრიგში დგას საკითხი საერთაშორისო კომიტეტის ზოგადი დებულების განხილვის შესახებ.

— საერთაშორისო კომიტეტისაგან საჩუქრათ მიღებული 200 კილო ქინაქინა უკვე განაწილდა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და საქართველოს ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის. ქინაქინის მეტი წილი გაიგზავნა მალარიით დაავადებულ ადგილებში.

— საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობის გამო წითელმა ჯვარმა იკისრა აგარაკ წაღვერის, ბორჯომის, წყალტუბოსა და ახტალის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.

— პროფკავშირთა წითელი ჯვარი პროფკავშირების თაოსნობით აწარმოებს კამპანიას წითელ ჯვარში წევრათ შესვლის სასარგებლოთ. მუშათა ფართო მასები, როგორც ეს შეკითხვებიდან ჩანს, დიდ ინტერესს იჩენენ წითელ ჯვრის საქმიანობისადმი, პროფკავშირებში გამართულ მიტინგებს ერთხმათ გამოაქვთ დადგენილება წითელ ჯვარში ჩაწერის შესახებ. მიტინგები გამართული იყო მრეწველთა, ტრამვაის და მელითონე მუშათა შორის, ცეცხლის მქრობელ რაზმში და სხვაგან. მოსალოდნელია, რომ ეხლანდელ წევრთა რაოდენობა,—8000 კაცი,—მომავალ წლისათვის სამჯერ გაიზრდება.

— ფოთიდან მიღებულ ცნობით, ზაფხულის მოახლოვების გამო მალარიის ეპიდემიას იქ ფართო ხასიათი მიუღია, რის გამო წითელ ჯვარს, თანახმად ფოთის ორგანიზაციის შუამდგომლობისა, განზრახული აქვს დაარსოს იქ სამალარიო ამბულატორია.

— აფხაზეთში ახლად შექმნილ საექიმო რაზმების მუშაობა ნაყოფიერათ ვითარდება. უფროსი ექიმების ცნობით, წითელი ჯვრის მუშაობის წყალობით ტიფის და ყვავილის ეპიდემია საგრძნობლათ შემცირდა.

გამომცემლობა

გამოვიდა წარმოკავშირის პერიოდულ ჟურნალის „საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის“ პირველი ნომერი. შინაარსი: 1) დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე, 2) პროფ. ტიმოფეევის წერილი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანები საქართველოში, 3) წარმოკავშირის მუშაობის შედეგები, 4) წარმოკავშირის საორგანიზაციო მუშაობა, 5) მოკლე სურათი საქ სას. სამ. კოოპერაციის განვითარებისა—ლ. ასათიანი, 6) კოოპერატ. კრედიტი სასოფლო მეურნეობაში—ა. მიქელი, 7) სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა (წივწივაძის თეზისები), 8) დეკრეტი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—ჯ.—ლი. 10) სასოფლო სამ. კოოპერაცია უცხოეთში—ალ. ქ, 11) კოოპერატიული დაზღვევა წარმოკავშირში—ალ. ვაჩნაძეს, 12) ქრონიკა.

— წარმოკავშირმა გამოსცა ბროშიურა: „წარმოკავშირის მუშაობის მოკლე ანგარიში და 1924 წლის მოქმედების გეგმა“.

— გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ორგანო „Закавказский транспорт“-ის № 8 ნომერი. წერილებში და ქრონიკაში გაშუქებული სატრანსპორტო საქმის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიურ-ფინანსიური საკითხები.

მეცნიერება და ტექნიკა

[illegible]

ატომის გალიზიანება.

ატომის მიერ სინათლის გამოყოფა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დროის განმავლობაში ატომს შორდება ელექტრონი, რომელიც ანათებს. არა, აქ საქმე სულ სხვა ნაირად არის. ატომი სამუდამოთ, ანდა თუ გინდ დიდი ხნით თავის ელექტრონებს არ კარგავს; პირიქით, ის ცდილობს შეინარჩუნოს ისინი, მოუახლოვოს ცენტრალურ გულს შეუკავშიროს და ნაკლები მოძრაობის [illegible] თუ შემთხვევით რომელიმე სხვა ატომთან დაჯახების გამო ერთი რომელიმე ელექტრონი ასცდება გზას და დაიწყებს გულის გარშემო წრის შემოვლას უფრო შორი მანძილიდან (ატომის გალიზიანება) ის ატომის [illegible] მიზიდულობის ძალით, [illegible] ნორმალურ ორბიტას დაუბრუნდეს (ორბიტა ეწოდება წრეს, რომელზედაც რომელიმე საგნის გარშემო ტრიალებს მეორე სხეული მაგალითად, დედამიწის გზას მზის გარშემო ეწოდება დედამიწის ორბიტა) და სწორედ ამ დროს ხდება სინათლის გამოყოფა. ე. ი. [illegible] ნი, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ როგორც სინათლეს [illegible] ატომის ენერგია უფრო დიდია, ვიდრე ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ატომის, განსხვავებას ატომის გალიზიანებულ მდგომარეობისა და ნორმალურ მდგომარეობის შორის გვიგზავნის ატომი სხივად.

თავისთავად ცხადია, რომ ატომი გალიზიანებულ მდგომარეობაში თავისთავად არ ვარდება, არამედ რაიმე გარეშე პირობების ზეგავლენით. უფრო ხშირად ეს ხდება მეორე ატომთან დაჯახების გამო.

ატომის შიგნით დამალული ენერგია ჩვენთვის ჯერ-ჯერობით მიუწვდომელია, ატომი ენერგიულად იცავს თავს ყველა ცდებისაგან, რომლებიც მიმართული არიან იქით, რომ წაართვან მას ენერგია.

დაუბრუნდეთ ისევ ატომის გულს.

ალფა და ბეტა-ნაწილაკები.

ატომის გული, მიუხედავათ იმისა, რომ მისი სიდიდე არაჩვეულებრივათ მცირეა ძლიერ რთული აგებულების არის. ამას გვიმტკიცებს ჩვენ რადის შესწავლა.

რადიოაქტიური ნივთიერებანი, ე. ი. ისეთი ნივთიერებანი, რომლებსაც რადის მსგავსი თვისებები აქვთ, შესანიშნავი არიან იმით, რომ განუწყვეტლივ გამოყოფენ ნაწილაკების ნაკადს. ეს ნაწილაკები ნაწილობრივ არიან ელექტრონები (ე. წ. ბეტა-ნაწილაკები) ნაწილობრივ კი გაზ ჰელიის ელექტრონით გატენილი ატომები (ალფა-ნაწილაკები).

ალფა და ბეტა-ნაწილაკები იმდენათ მცირე არიან, რომ მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით, შეუძლებელია. მაგრამ მათი არსებობის გამორკვევა შეიძლება მრავალი საშუალებით. ასე მაგალითად, თხელ ფიცარს ფარავენ განსაკუთრებული ნივთიერებით და მის ახლო ათავსებენ ერთ ნამცეც რადის. ჩქარა ჩვენ შევამჩნევთ ფიცარზე ნაპერწკლებს, რომლებიც აენთებიან და ჩაქრებიან—ეს არის ალფა-ნაწილაკების დარტყმის ნიშანი. ჩვენ ვიცით, რომ ატომი ძლიერ უნდა შეინჯღრეს, რომ გაანათოს, იმ ნივთიერების ატომებს რომლითაც დაფარულია ფიცარი, აღიზიანებენ ალფა-ნაწილაკები, რადგან ისინი შორდებიან რადის ძალიან დიდი სისწრაფით. ისეთი დიდი სისწრაფით, რომ ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვიძლია დაახლოებით ის სისწრაფე ასეთი იქნებოდა: გავისროლეთ თოფი, ამავე დროს რადის მოწყდა ალფა-ნაწილაკი, ის მოასწრებს დედა მიწის გარშემო შემოვლას სანამ ტყვია ნიშანს მიაღწევდეს. ბეტა-ნაწილაკები კი ათჯერ მეტი სისწრაფით მოძრაობენ ვიდრე ალფა ნაწილაკები, ე. ი. ისინი თვალის რამდენიმე დახამხამებაში ათჯერ შემოუვლიან დედამიწას.

1902 წელში დაბადებულთა გაწვევა წითელ ჯარში

1. 1902 წ. დაბადებულ ახალგაზრდობას იწვევენ წითელი არმიის რიგებში შვებულებაში გაწვეულ იმ წითელ არმიელების ნაცვლად, რომლებიც 1900 და 1901 წ. არიან დაბადებული. ახალგაზრდობას იწვევენ სამხედრო საქმის რეგულიარულად შესასწავლად და იმ მუდმივი სამხედრო ძალის შესანარჩუნებლად, რომელიც ყოველწუთში შეძლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ თავდასხმას ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკის მტრების მხრივ.

2 წითელი არმია შექმნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხების მუშურ-გლეხურმა მასებმა ჩვენი ბელადის ამხ ლენინის მოწოდებით და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეთაურობით. მან გაიმარჯვა ბრძოლაში მეფის გენერლების დენიკინის, იუდენიჩის, კოლჩაკის, ვრანგელის შეიარაღებული ბანდების და უცხოეთის კაპიტალისტების არმიების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება, აღედგინათ მეფის, მემამულეების და კაპიტალისტების ძალაუფლება, დაებრუნებიათ მათთვის ოქტომბრის რევოლუციის მიერ წართმეული მიწა და ფაბრიკა ქარხნები.

3 წითელმა არმიამ ომის წლებში თავის რიგებში თავი მოუყარა 5 მილიონამდი მუშას და გლეხს. თავისი გმირობით და შეუდრეკლობით მთელი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მუშათა დახმარებით წითელმა არმიამ დაამარცხა ყველა მტრები, განდევნა ქვეყნიდან რუს და უცხოელ კაპიტალისტების შეიარაღებული ბანდები, აიძულა ყველა სახელმწიფოები შეეწყვიტათ შეიარაღებული ბრძოლა და უზრუნველჰყო მშვიდობიან შრომაზე გადასვლის შესაძლებლობა, სოფლის მეურნეობისა და ქალაქის მრეწველობის აღორძინებლად.

4. წითელი არმია შექმნილია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხების მშრომელთა მიერ და თავის რიგებში ჰყავდა და ჰყავს წითელ არმიელები და მეთაურები ველიკოროსი, უკრაინელი, ბელორუს, ქართველ, თათარ, სომეხ, ბაშკირელ, პოლონელ, გერმანელ და ებრაელ მუშა გლეხების წრიდან. წითელი არმია—მშრომელთა ერთიანი არმია არის ის დაეხმარა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებს თავისი კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობიდან განთავისუფლებაში და იცავს ყველა მათ საერთო მტრისაგან. წითელი არმია არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელი მასების მიერ შექმნილი შეიარაღებული ძალა.

5 შეიარაღებული ბრძოლით და მთელი რიგ წლების განმავლობაში თავდადებული მშვიდობიანი სამეურნეო აღმშენებლობით, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცნეს ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა (ინგლისმა, იტალიამ და სხვ) და მრავალ მათგანთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა დავამყარეთ. მაგრამ ჩვენი საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად ერთად ერთი ქვეყანაა, რომელსაც მართავს მუშა და გლეხი და ამიტომ შესაძლებელია მასზე მოაწყონ ახალი თავდასხმა. მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებს თავისთან ჰყავთ მრავალრიცხოვანი არმიები, მხედ აქვთ საჰაერო და საზღვაო ფლოტი, ამზადებენ თავის ქარხნებში იარაღებს, აეროპლანებს და მხრჩოლავ გაზებს და ყველაფერ ამას გამოიყენებენ საბჭოთა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დასაყრდენის წინააღმდეგ. მსოფლიო კაპიტალს არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნილებებზე მეფის მთავრობის ყველა ვალების და კაპიტალისტებისათვის ფაბრიკა-ქარხნების დაბრუნების შესახებ, არ აუღიათ ხელი ოცნებაზე საბჭოთა რესპუბლიკის მოსპობის შესახებ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის დასაცველად საჭიროა ნამდვილი წითელი არმია.

6. საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მისცა წინადადება თავის მეზობლებსა და მსოფლიოს მსხვილ სახელმწიფოებს (კონფერენციებზე გენუაში, ჰააგაში მეზობლებთან კონფერენციაზე მოსკოვში 1922 წ. დეკემბერში და ახლა ლონდონში) სრულიად განიარაღების ან შეიარაღების საგრძნობათ შემცირების შესახებ, მაგრამ ყველა ეს წინადადებები უარყოფილი იქნენ მსოფლიო კაპიტალის მიერ. მიუხედავათ ამისა საბჭოთა მთავრობამ ჩვენი არმიის რაოდენობა 600 000 კაცამდი შეამცირა. შემოიღო სამხედრო სამსახურის შემოკლებული ვადა (ორი წელიწადი ქვეითა და ცხენოსანი ჯარისათვის) და მთელი რიგი შეღავათები სამხედრო სამსახურის გასავლელად, რაც საგრძნობათ ამცირებს სამხედრო ბეგარის სიმძიმეს ჩვენი ქვეყნისათვის.

7. წითელი არმიის რაოდენობის შემცირებამ შესაძლებელი გახადა შემდეგი შეღავათების მინიჭება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით:

ა) პირველი ხარისხის შეღავათი ეძლევა ოჯახის ერთად ერთ შრომის უნარის მქონე წევრს, თუ მას სარჩენი ჰყავს სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული.

ბ) მეორე ხარისხის შეღავათი ეძლევა ოჯახის ერთად ერთ შრომის უნარის მქონე წევრს, თუ მას სარჩენი ჰყავს ერთი შრომის უნარმოკლებული.

გ) მესამე ხარისხის შეღავათი ეძლევა ოჯახის ერთად-ერთ შრომის უნარის მქონე წევრს, თუ მას სარჩენი ჰყავს ერთი შრომის უნარმოკლებული.

დ) მეოთხე ხარისხის შეღავათი ეძლევა ოჯახის შრომის უნარის მქონე წევრს მაშინაც, თუ ოჯახში არის მეორე შრომის უნარის მქონე წევრი, მაგრამ იმ პირობით, თუ მათ სარჩენი ჰყავთ არანაკლებ სამ შრომის უნარმოკლებული

თუ უშეღავათოები საკმარისი არ იქნებიან ნორმის შესავსებათ, გაწვეული იქნება შეღავათიანების ნაწილი. შეღავათიანების გაწვევის რიგის გამოსარკვევად მოხდება კენჭის ყრა გაწვეულებს შორის.

ამ შეღავათისა და კენჭის ყრის წესები ასეთია: ისინი ვინც ამ შეღავათებით სარგებლობენ, სრულიად თავისუფლდებიან წითელი არმიის რიგებში ჩარიცხვისაგან, თუ უშეღავათოები თითეულ რაიონიდან წამოაყენებენ წითელ არმიელების სრულ რაოდენობას, რომელსაც ამა თუ იმ რაიონისათვის აწესებს რევოლუციონური სამხედრო საბჭო.

8. სამხედრო სამსახურის ვადა ქვეითა და ცხენოსანი ჯარისათვის დაწესებულია ორი წელიწადი. ეს ვადა გადიდებულია მხოლოდ საზღვაო ფლოტისათვის (4 წელიწადი) და საჰაერო ფლოტის სპეციალისტებისათვის (3 წელიწადი), სადაც სამხედრო საქმე უფრო რთულია. უფრო მეტი შემცირება შეუძლებელი იყო, ვინაიდან სამხედრო საქმის ტექნიკა დღითი დღე რთულდება. წითელი არმია ყველა ჩვენი მტრების არმიებზე უძლიერესი უნდა იყოს.

9. გაწვეულთა ნაწილი ჩარიცხული იქნება ტერიტორიალურ დივიზიებში, სადაც მიეცემათ შეღავათიანი პირობები სამხედრო სწავლის გასავლელათ. ამ ტერიტორიალური ნაწილების წითელი-არმიელები ირიცხებიან თავის ნაწილში ოთხი წლის ვადით და ამ ხნის განმავლობაში სამხედრო საქმის შესასწავლათ იწვევენ 3—5 კვირის ვადით თითეულჯერ, სულ კი ხუთი თვით დანარჩენი დროს კი ატარებენ სახლში—უვლიან თავის მეურნეობას ან მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში.

1902 წელში დაბადებულთა ჩარიცხვა ტერიტორიალურ ნაწილებში მოხდება მხოლოდ სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს მიერ დაწესებულ რაიონებში და მხოლოდ მუდმივ ნაწილების წითელ-არმიელების სათანადო რაოდენობით შევსების შემდეგ.

10. წითელ-არმიელის საპატიო სახელი და სოციალისტური სამშობლოს დაცვის ღირსება საბჭოთა რესპუბლიკაში ეძლევა მხოლოდ მშრომელთ. არამშრომელ ელემენტებს, კულაკებს, ვაჭარ სპეკულიანტებს, რომლებსაც არა აქვთ საბჭოებში არჩევნების უფლება—საბჭოთა ხელისუფლება არ ანდობს თოფს—მათ იწვევენ ნაწილებში წითელ-არმიელებისათვის სამსახურის გასაწევათ.

11 წითელ არმიაში გაწვეული შეხვდება ამხანაგურ მოპყრობას მეთაურების მხრივ, რომლებიც აგრეთვე მუშებისა და გლეხების წრიდან არიან გამოსული. კომუნისტური პარტია წითელ არმიაში განაგრძობს მშრომელთა გათვითცნობიერების საქმეს. წითელი არმია შკოლაა მუშურ გლეხური ახალგაზრდობისათვის. ყველა წითელ არმიელებს წერა-კითხვას ასწავლიან პოლიტიკურ მეცადინეობის დროს თავის კლუბში და გაზეთში წითელ-არმიელი ეცნობა საბჭოთა წყობილებას და წესებს სხვა ქვეყნებში, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ქალაქში და სოფლად, გლეხური მეურნეობის უკეთეს ფორმებს. სოფლად და ფაბრიკაში დაბრუნების შემდეგ, წითელ-არმიელი უკეთესი ცხოვრების მოწინავე მშენებელი იქნება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს პოლიტიკური სამმართველო.

წითელ ჯარში გაწვევის ლოზუნგები

1. 1902 წელში დაბადებულნო—ყველამ წითელი არმიის რიგებში.
2. ყველა—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დასაცავად.
3. ყველა—ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.
4 ჩვენს რიგებში ადგილი არ აქვს დეზერტირებს და იმათ, ვინც გაწვევას გაურბის.
5. შევასრულოთ ჩვენი ბელადისა და მასწავლებელის ანდერძი—მტკიცედ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე.
6. ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო—დაიცავით თქვენი მონაპოვარნი. ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი ქვა გემრიელი ლუკმაა მსოფლიო კაპიტალისტურ მტაცებლებისათვის.
7. გაუმარჯოს წითელ არმიას—მსოფლიო იმპერიალიზმის რისხვას, მშრომელთა მეგობარსა და დამცველს.
8 გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების წითელ არმიას.

დილის სხდომის დასასრულ ამხ. ხანი აქვეყნებს იტალიელ მუშათა მისალმებას ყრილობისადმი, რომელსაც დელეგატები აღტაცებით ხვდებიან და ანდობენ პრეზიდიუმს საპასუხო დეპეშის ტექსტის გამომუშავებას.

უკანასკნელი სხდომა

მუშაობა ახალგაზრდობაში

(მომხსენებელი ამხ. კახიანი).

საღამოს სხდომაზე ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კახიანი, რომელიც აღნიშნავს რომ დღევანდელი ახალგაზრდობა სულ სხვა პირობებში იზრდება, ვიდრე პარტიის ძველი თაობა. ახალგაზრდობას საბჭოთა ხელისუფლების დროის ფართოთ თვითმოქმედებისთვის გზა აქვს გახსნილი, მაგრამ სამაგიეროთ მას აკლია ბრძოლაში გაწვრთნა. ბრძოლაში გამოუცდელი ახალგაზრდობა უკვე პარტიის შიგნით არის მოქცეული. პარტიულ დისკუსიის დროს კომკავშირი საერთოდ პარტიის ძველი ხაზის მხარეზე აღმოჩნდა, მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლის ახალგაზრდობის უმეტესობა იყო ოპოზიციის მხარეზე. მე 13 პარტკონფერენციამ გადასჭრა ამ ხასიათის საკითხები.

ჩვენ დროს სწორედ კომკავშირის შემადგენლობის განახლება, კომკავშირის პარტიული ელემენტი შემცირდა, საჭიროა მისი გაძლიერება. საქართველოს მუშა ახალგაზრდობის 80—85 პროც. უკვე თავის კომკავშირში, მცირეა მასში ახალგაზრდა ქალები, რომელთა რაოდენობა მხოლოდ 6 პროც. აღწევს. კომკავშირის როლი სოფლად დიდია, განსაკუთრებით იქ სადაც სუსტია პარტიული ორგანიზაციები, როგორც მაგალითად აფხაზეთში. უნდა გაძლიერდეს კავშირში ახალგაზრდობის მიღება დაბალ და საშუალო საფეხურებიდან. მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო და აქტიური ნაწილი უნდა შეყვანილ იქნას კავშირში მით უმეტეს რომ ახალგაზრდობაში უკვე მოხდა გარდატეხა პარტიის სასარგებლოდ.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება მოწაფეთა აღზრდის საკითხზე და ამთავრებს თავის სიტყვას მოწოდებით რათა ახალგაზრდობამ ენერგიულათ მოკიდოს ხელი ლენინიზმის მეცნიერების შესწავლას და შეთვისებას.

ამხ. გაიოზ დევდარიანს შეაქვს ზოგიერთი დამატებანი და მცირე შესწორებანი მომხსენებლის თეზისებში, რაც ყრილობის მიერ მიღებულ იქნა.

ამხ. ფ მახარაძის საბოლოო სიტყვა სოფლად მუშაობის შესახებ

ამხ ფ მახარაძე ჩერდება სოფლად მუშაობის ნაკლულევანებებზე. წყალთა სამმართველოს, საგადასახადო განყოფილების და სხვა დაწესებულებათა დამოკიდებულებაზე გლეხობისთან. ეხება სოფლად საექიმო დახმარების სისუსტეს, ახლად ჩამოყალიბებულ რაიონებათ დაყოფას, რომელიც ზოგიერთ ადგილებში უკმაყოფილებას იწვევს და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ამხ. ფილიპე აქცევს ქალთა შორის მუშაობას, რომელიც მომავალში უფრო ენერგიულად უნდა სწარმოებდეს.

გლეხკომებმა კოლექტივისტური სულისკვეთება უნდა განავითარონ გლეხობაში, მიღებულ უნდა იქნას ზომები მიწის რეფორმის დამთავრებისათვის ისეთ რაიონებში, როგორიც აფხაზეთია. დანარჩენ ადგილებზე თუ ვინმეს ზედმეტი მიწის ნორმა დარჩა, ის მიწათმოწყობის დროს უნდა ჩამოერთვას.

დასასრულ ამხ ფილიპე ჩერდება ტყის და საძოვრების საკითხებზე, რომლებიც აგრეთვე მოგვარებულ უნდა იქნას უახლეს დროში გლეხობის სასარგებლოთ

ამხ მახარაძის თეზისები ზოგიერთი დამატებებით და შესწორებებით მიღებულ იქნა ყრილობის მიერ.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები შინა-ვაჭრობის და კოოპერაციის შესახებ, მრეწველობის შესახებ, ცეკას მუშაობაზე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე.

დასასრულ მოხდა ცენტრალური კომიტეტის, საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

რეზოლიუცია ამხ. ლომინაძის მოხსენების გამო

(ცენტრ. კომიტ. მუშაობის შესახებ)

მოისმინა რა ამხ. ლომინაძის მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სწორად და საორგანიზაციო მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის უდიდეს მიღწევას განვლილი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენს საქართველოში ანტი-საბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია. მენშევიკურმა პარტიამ, რომელიც 25 წლის განმავლობაში გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომელიც აერთიანებდა წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიის ფართო მასებს და მუშების საგრძნობ ნაწილს, რომელიც საქართველოში ყველა რეაქციონური და კონტრ რევოლიუციონური ძალების მთავარი ცენტრი იყო და რომელმაც საქართველოს გასაბჭოების პირველი ორი წლის განმავლობაში (23 წლამდი) თავისი რიგები დაუშლელად შეინარჩუნა—წარსულ წელს საბოლოო; გამოუსწორებელი კრახი განიცადა. თვითმა მუშათა მასამ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მენშევიკებს მიჰყვებოდა, საბოლოოთ გასწყვიტა კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და დგება კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში. მაგრამ მენშევიკური პარტიის დაშლა არ გათავდა მისგან მხოლოდ მუშების და საერთოდ მშრომელი მასების ჩამოშორებით. მენშევიკური პარტიის ყველა ძველი კადრები და თვით წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელზე დაყრდნობასაც ცდილობენ არალეგალური მოღვაწე მენშევიკები, კავშირს წყვეტენ მენშევიკების არალეგალური ორგანიზაციასთან და ფართო ფრონტით იბრუნებენ პირს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. მენშევიზმი, რომელმაც ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა ოდნავ ფართო საზოგადოებრივ წრეებში, მშრომელ კლასებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, გადაიქცა უკვე სრულიად უძლურ მიმდინარეობათ, რომელიც დღითი დღე ლპება და იხრწნება და ცდილობს დაეყრდნოს სამღვდელოებას, მემამულეებს, კულაკებსა და ვაჭარ-სპეკულიანტებს და უკიდურეს ფაშისტურ რეაქციას. მენშევიკების პარტიასთან ერთად სრული დაშლა და გახრწნა განიცადეს აგრეთვე სხვა კონტრ რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა: ახალგაზრდა მარქსისტებმა, ფედერალისტებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა და სხვ. ფართო მასებმა, რომლებიც მიჰყვებოდნენ ამ ორგანიზაციებს, დაჰკარგეს იმედი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, საუკეთესო ელემენტები მათგან კი საბჭოთა პლატფორმაზე დგებიან.

ყრილობა თვლის, რომ ჩვენი პარტიის უდიდესი გამარჯვება პოლიტიკურ ბრძოლაში აიხსნება.

1. საბჭოთა კავშირის ძლევა-მოსილების საერთო განმტკიცებით, აშკარა წინსვლით და წარმატებით აღმშენებლობის ყველა დარგებში.

2 ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრით, რამაც საბჭოთა ხელისუფლებასთან შეარიგა თვით წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიის ფართო წრეები.

3. ფართო საზოგადოებრივ წრეებში დემოკრატიული ილუზიების გაფანტვით, რაც არის საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მასწავლებელი გამოცდილების შედეგი.

4. ჩვენი პარტიის უდიდესი პრაქტიკული გამარჯვებით გლეხთა, მიწის და მუშათა საკითხების გადაჭრაში და კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგებში და

5 ცენტრალური კომიტეტის მოხერხებული ხელმძღვანელობით, რადგან მან სწორად გადასჭრა პრაქტიკაზე საკითხი პროლეტარული დიქტატურის აქტიური მტრების მიმართ ტერორისა და ძალადობის მეთოდების გამოყენების და იმ ელემენტებთან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისაკენ პირს იბრუნებენ შეთანხმების და თავის მხარეზე გადაყვანის საკითხი.

ყრილობა აღასტურებს, რომ ჩვენი პარტიის ამოცანებს—მთელი მუშათა კლასის დაპყრობის—მთავარი ნაწილი უკვე შესრულებულია. საჭიროა მხოლოდ პარტიის მხრივ [illegible] წინეთ მტრულათ განწყობილ მუშებთან—ყოფილ მენშევიკებთან დაახლოების საქმის განმტკიცება და მომავალშიც გაგრძელება ისე, რომ არავითარმა გართულებამ—საშინაომ ან საგარეომ—მუშათა თვით უმნიშვნელო ნაწილში არ გამოიწვიოს მენშევიზმის აღორძინება. ამ მხრივ ყრილობა საჭიროთ სწორეთ სთვლის ცენტრალური კომიტეტის მიერ მრავალჯერ გამოტანილ დადგენილებებს ყოფილ მენშევიკებს შორის მუშაობის შესახებ და აგრეთვე თბილისის უკანასკნელი კონფერენციის დადგენილებებს.

ერთი წუთითაც არ ამბობს რა უარს ჯერ კიდევ დარჩენილ აქტივისტ მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვ მიმართ სასტიკ რეპრესიული ზომებისა და ულმობელი ტერორისათვის მიმართვაზე, ყრილობა დღევანდელი მომენტისათვის მთავარ და დღიურ ლოზუნგათ სთვლის არა ტერორსა და დათრგუნვას, არამედ შეთანხმებას წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ელემენტებთან, რომლებიც გულწრფელად და პატიოსნად გადადიან საბჭოთა პლატფორმაზე და მის საუკეთესო ნაწილის გამოყენებას მშენებლობის უფრო მეტი წარმატებისათვის. ეს შეთანხმება გაგებული უნდა იქნეს არა როგორც თუ გინდ მცირეოდენი დათმობა კლასობრივი, პროლეტარული პოლიტიკის საკითხებში ან უარის თქმა კომუნისტური პოლიტიკის რომელიმე სახელმძღვანელო პრინციპზე, არამედ როგორც მტრობისა და ბრძოლის შეწყვეტა იმათთან, რომლებმაც პირველად დაჰყარეს პროლეტარული რევოლიუციის წინაშე ბრძოლის იარაღი.

ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მიუთითებს იმ მიდრეკილებაზე, რომელსაც ადგილი აქვს მენშევიკურ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში; ეს მიდრეკილება გამოიხატება იმაში, რომ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ მათ სურთ მენშევიზმს მისცენ საბჭოთა პლატფორმაზე მდგომის, მაგრამ ოპოზიციონური მიმართულების ხასიათი. პარტიამ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყველა ასეთ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია „მენშევიზმის ლეგალიზაცია“; პარტიამ არ უნდა მოიტყუოს თავი ახალი ლოზუნგებით და პლატფორმებით, რომლებიც მხოლოდ გარეგან ფერავენ და ანახლებენ მენშევიზმს. პროლეტარული დიქტატურა მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე, როდესაც ყველა პოლიტიკური უფლებები ექნება რევოლიუციონურ პროლეტარიატს და გლეხობას და მუშათა კლასის ერთად ერთი პარტიას—კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკების) ამ თვალსაზრისით ყრილობა სწორ ლენინიზმათ სთვლის მემარცხენე ფედერალისტების თვითლიკვიდაციას, რომელიც ცეკას ხელმძღვანელობით იქნა ჩატარებული.

ყრილობა აუცილებლათ სთვლის პარტიის მუშაობის და ბრძოლის გაძლიერებას კულტურულ და იდეოლოგიურ ფრონტებზე. ქვეყნის კულტურული აღორძინება, კულტურული განვითარება, რომელიც ეხლა საერთო მოვლენაა საქართველოს სინამდვილეში, მიმართული უნდა იქნეს ისეთი კალაპოტით, რომ მთელი კულტურული მუშაობა ემსახურებოდეს მუშათა კლასის და გლეხთა ფართო მასების უშუალო ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ამ მიზნით პარტიამ უნდა დაიპყროს [illegible] მასწავლებლობა მისა, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლობა, უნდა დაიპყროს [illegible] თავის გავლენას სკოლა, პირველ რიგში კი უმაღლესი სკოლა და გააძლიეროს და უფრო მაღალ საფეხურზე ააყვანოს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა არმიაში ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს ეხლავე შეუდგეს დღევანდელი მომენტისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანების შესრულებას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ თუმცა წარსული წლის განმავლობაში სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი შედეგები, რომელიც გამოიხატა საერთოდ ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაში წინა წლებთან, განსაკუთრებით კი იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მენშევიკების დროს იყო, მაგრამ ეს მიღწევები მეტად მცირეა ჩვენი სოციალისტური განვითარების მოთხოვნილებებთან შედარებით. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ყველა თავისი ძალები ეხლა, როდესაც ძირითადი პოლიტიკური პრობლემები დადებითად არის გადაწყვეტილი, მიმართონ სამეურნეო მუშაობის გაცხოველებისაკენ, როგორც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სფეროში, ისე კოოპერაციის და შინაური ვაჭრობის სფეროშიც.

მეურნეობის საკითხები ეხლა, როდესაც პარტიას აღარ უხდება გაფართოებული პოლიტიკური ბრძოლა, პარტიის მთელი მუშაობის ცენტრში უნდა იყვნენ მოქცეული. ყრილობას განსაკუთრებით აუცილებლად მიაჩნია ცეკას მუდმივი, გეგმაშეწონილი ხელმძღვანელობის განხორციელება ყველა სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე და სამეურნეო განვითარების პროცესის თანდათანობითი დაპყრობა იმ მიზნით, რომ შექმნილი იქნეს მასში გეგმაშეწონილი—ორგანიზაციული დასაწყისი.

ყრილობა სწორათ სთვლის ცეკას პოლიტიკას პროფმუშაობის სფეროში და საერთოდ მუშათა საკითხის გადაწყვეტაში. მომავალში საჭიროა, რომ კიდევ უფრო გადამჭრელათ და მტკიცეთ იქნეს აღებული კურსი მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მრეწველობის ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით; ჩვენი სატარიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს შრომის ჩამორჩენილი დარგების თანდათანობითი დაახლოება შრომის ხელფასის საშუალო დონისთან; საჭიროა აგრეთვე სატარიფო პოლიტიკის ზოგიერთი მომენტების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ დაწესებული იქნეს სწორი და მოკიდებულება მუშის და მოსამსახურის შრომის ხელფასს შორის; განსაკუთრებით მტკიცეთ უნდა იქნეს აღებული კურსი ყოველგვარი მაღალ ჯამაგირების, სპეც ჯამაგირების, ტანტიემის და ზოგიერთ კომერციულ და სამეურნეო ორგანოებში დაწესებულ მეტისმეტ მაღალ ჯამაგირების ყოველმხრივ შემცირებაზე აუცილებლით ხაზგასმით [illegible].

ამასთანავე საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება იმ საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლათ, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს მუშათა უბნებში, სავადმყოფო და საკურორტო საქმე შეფარდებული უნდა იქნეს მუშათა მასების მოთხოვნილებებთან, ამასთანავე ყოველის მხრივ ხელი უნდა შეუწყოთ მუშების ჩაბმას საზოგადოებრივ, კულტურულ და საბჭოთა მოღვაწეობაში.

აღნიშნავს რა, რომ გასული წლის განმავლობაში პარტიამ მოახერხა სამეურნეო კრიზისის, რომელიც მძიმე გავლენას ახდენდა გლეხობის მდგომარეობაზე, სრული დაძლევა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი შესამჩნევათ შესუსტება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტისა და საერთოდ მთელი პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებული იყო მთელი რიგი ზომები, რომლებიც აუმჯობესებენ გლეხობის მდგომარეობას, ყრილობა ამასთანავე საჭიროთ სთვლის ხაზი გაუსვას იმას, რომ გლეხობის და პროლეტარიატის დაკავშირების ამოცანა, რომელიც ამხ. ლენინის მიერ იყო წამოყენებული, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. წინანდებურათ ეს საკითხი ყველაზე უფრო მთავარი და გადამწყვეტ საკითხათ რჩება ჩვენი ხელისუფლებისათვის.

პარტიამ ამ ძირითად პრობლემის ნიადაგზე უნდა განავითაროს თავისი მუშაობა ყრილობა ავალებს პარტიის ც კ—ს უცვლელათ გაატაროს ყველა ეს დადგენილებები სოფლად მუშაობის შესახებ, რათა პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდსა და გლეხთა ფართო მასებს შორის გაიბას უფრო მჭიდრო და უფრო მტკიცე კავშირი.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ წარსული წლის მუშაობის შედეგათ ს. კ პ ამ მიაღწია იმ მდგომარეობას, რომელიც შესაძლებლათ ხდის პარტიის შიგნით ნამდვილი და [illegible] მთლიანობის შექმნას. წვრილ ბურჟუაზიული გადახრა პარტიის წევრთა შორის, რომელიც მწვავე ბრძოლის საგანი იყო ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, დროებითი და თითქმის წარსულს ჩაბარებული მოვლენა აღმოჩნდა.

რათა პარტია მომავალში უზრუნველყოფილი იქნეს მსგავსი ბრძოლის რეციდივისაგან და პროლეტარულ ბოლშევიკურ პოზიციებიდან გადახრის საფრთხისაგან, ყრილობა ავალებს ც. კ ს, ყველა პარტორგანიზაციებს და პარტიის ყოველ წევრს მიიღონ ყოველგვარი ზომა, რათა უახლოეს მომავალში, უმტკივნეულოთ (რაც შეიძლება სრულად) და სავსებით აღმოიფხვრას შინა პარტიულ უთანხმოების ნაშთი და მემკვიდრეობა და პარტიის შიგნით შეიქმნას ჭეშმარიტ ამხანაგობის პირობები. გადამწყვეტ და პარტიის გამაჯანსაღებელ ძალათ ამ მხრივ ყრილობას მიაჩნია პარტიის სოციალურ შემადგენლობის განახლება პროლეტარულ ელემენტით.

4000 პროლეტარის პარტიაში შესვლამ მტკიცე პროლეტარული საფუძველი ჩაუყარა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას. ყრილობა მომავლისათვის აუცილებელ საჭიროებათ სთვლის წარმოებაში მყოფ მუშების ჩაბმას ს. კ პ.-ის რიგებში იმ მიზნით, რათა ჩვენი ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობაში უმრავლესობა მუშებს ეკუთვნოდეს.

ყრილობა ავალებს ც. კ—ს და ცენტრ. საკონტროლო კომისიას გამოიმუშაონ და უმაღლეს პარტიულ ორგანოთა დადგენილებებს შეუთანხმონ ზომები პარტიის წევრთა გადასინჯვის და ს. კ. პ. ის არაპროლეტარულ ნაწილიდან მერყევ, არაბოლშევიკურ ელემენტის განდევნისათვის. დანარჩენ ამოცანებთან პარტიის განმტკიცებისათვის ყრილობა სთვლის თანმიმდევრობითი და სწორ გატარებას 13 პარტკონფერენციის დადგენილებებისა პარტიულ დემოკრატიის შესახებ და შესაფერ აღმზრდელთა შერჩევას პარტიის წევრებში რევოლიუციონურ მარქსიზმის და ლენინიზმის ჩანერგვისათვის. დასასრულ ყრილობა ავალებს ც. კ ს მიიღოს ზომები მასწავლებლობის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობა ადგენს:

სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია მეურნეობის განვითარების დღევანდელ საფეხურზე უნდა არსებობდეს და ვითარდებოდეს დამოუკიდებლათ სამომხმარებლო კოოპერაციასთან ერთად ყრილობა არ თვლის დროულათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სამომხმარებლო კოოპერაციის გაერთიანებას როგორი ფორმითაც არ უნდა მოხდეს ის.

ცენტრალურ კომიტეტს ყრილობა ავალებს გამოიყენოს ამხ. წ ეწიაძის თეზისები, როგორც მასალა და შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გასამიჯნავათ სამომხმარებლო კოოპერაციისაგან და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის.

ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

(ანბანის მიხედვით).

ბოლქვაძე ვანო, გეგეჭკორი ალექსანდრე, გიორგაძე არჩილ, გურგენიძე კონსტანტინე, გოგია ბესარიონ, დევდარიანი გაიოზ, ელიავა შალვა, ზურაბოვი, თოდრია სილიბისტრო, ივანიშვილი

ქრონიკა

■ **გორი-ჯიხაიშის სკოლა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ თავის თანხებიდან გორი-ჯიხაიშის (ქუთაისის მაზრის) სასოფლო სკოლის ასაშენებლად გადასდო 3000 მან.

■ **ფერო-მარგანეცის წარმოებისათვის.** ფერრო მარგანეცის წარმოების კომისიის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილნი იქნენ: ინჟინერი კონიუშევსკი, ანდრონიკოვი და მელიქ-შაჰევი, უმაღ. მეურნ. საბჭოსი და სამთო განყოფილებიდან ინჟინერი წულუკიძე.

■ **სახლი უმუშევართათვის.** ქ. აღმასკომთან აღძრული იქნა შუამდგომლობა უმუშევართათვის სახლის გასახსნელად, სადაც პირველ რიგში მოთავსდებიან ჯარიდან განთავისუფლებული უმუშევარნი.

■ **ახალი კომუნა.** დემობილიზაციით დაბრუნებულთა დამხმარე კომისიამ შუამდგომლობა აღძრა მ. წ. მოქ. კომ. წინაშე, რათა გადაეცეს აღნიშნულ კომისიას გომბორის მამული ადგილობრივ დემობილიზაციით დაბრუნებულებისაგან კომუნის მოსაწყობად.

■ **სამხედრო ქონების დასაცავად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ [illegible] მას სამხედრო გასაწვრთნელად და საჭირო სამხედრო ქონების დასაცავად, დაარსა განსაკუთრებული კომისია შინაგან საქმეთა და სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლების შემადგენლობით.

■ **სტიპენდიები სტუდენტებს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან ლენინგრადის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთათვის დაარსოს ხუთი სტიპენდია.

■ **შრომის კომისარიატს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა შრომის კომისარიატს, რომ შრ. დარგში გამოცემული დადგენილებები და გეგმები შეთანხმებულნი იყოს უმაღ. მეურნეობის საბჭოს ორგანოებთან ერთად.

■ **საქ. გეოგრაფიულ საზოგადოებაში** დღეს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის ახალ აუდიტორიაში საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე ივანე ბიუსი წაიკითხავს მოხსენებას: მიწის-ძვრა იაპონიაში“ მოკლე შესავლით— „ინსტრუმენტალური სეისმომეტრიის პრინციპები“. მოხსენება წაკითხული იქნება რუსულად და დასურათებული დიაპოზიტივებით. დასწრება მოხსენებაზე გარეშე პირებსაც შეუძლიათ.

■ **აფხაზეთის რესპუბლიკის შტატები.** ვინაიდან ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციაში უნდა გატარდეს შრ. ხელფასის დაკლება 10 პროც., ამიტომ აფხაზეთის რესპუბლიკის შტატების დამტკიცება საქ. სახ. კომისართა საბჭომ შეაჩერა.

■ **იპოდრომზე სახელმწიფო გადასახადის მოხსნა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა/კ სახ. კომ. საბჭოს, რათა იპოდრომი და სახელმწიფო ტოტალიზატორი განთავისუფლებული იქნენ სახელმწიფო გადასახადისაგან.

■ **სკოლებისათვის საჭირო ავეჯეულობის შეძენა.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათ. განყოფილებას, თბილისის მაზრის სკოლების საჭიროებისათვის. თვალსაჩინო სახელმძღვანელო ინსტიტუტის სახელოსნოს შეუკვეთოს დაჩქარებით პარტები.

■ **მარტყოფის სავადმყოფოს დასამთავრებლად.** მარტყოფის სავადმყოფოს შენობის დასამთავრებლად ქ. აღმასკომმა გადასდო 8,454 მან.

■ **წყალსადენის გაყვანა ლენინის რაიონში.** ქ. აღმასკომმა ლენინის მუშეთა რაიონში წყალსადენის გასაყვანად გადასდო 1587 მან. და წინადადება მისცა წყალსადენის განყ. დაჩქარებით შეუდგეს მუშაობას.

■ **აგრარული რეფორმა.** სადავიდარო მამულთა განყოფილებას ნება მიეცა, თბ. მაზრაში აგრარული რეფორმის დაჩქარებით გასატარებლად გაადიდოს მიწისმზომელთა შტატი.

■ **მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნა აგარაკებზე.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა აღმასკომების აგარაკებზე გასაგზავნ მუშა-მოსამსახურეთ აგარაკების ფული გადაიხადოს წინდაწინ ობლიგების მიღებისა, რადგან აქედან შემოსული ფულით უნდა შეკეთდეს აგარაკები სეზონის გახსნამდე.

■ **ნიხრები ავტომობილებზე და ეტლებზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ დაადგინა: გამოიძახოს მეეტლეთა და ბირჟის ავტომობილთა წარმომადგენლები და მათთან ერთად დააწესოს ავტომობილებზე და ეტლებზე ნიხრი სამგზავროთ.

■ **ნიხრის გადათვალიერება.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა: დროგამოშვებით გადაათვალიეროს ბაზარზე დაწესებული ნიხრი და ადევნოს თვალი ბაზრის ფასების მოძრაობას.

■ **ხორცით მოვაჭრე საზოგადოება.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ შუამდგომლობით მიმართა შინავაჭრობის კომისარიატს, რომ დაჩქარებით მოაწყოს ხორცით მოვაჭრეთა საზოგადოება, რის შემდეგ ხორცზე დაწესდება მტკიცე ნიხრი.

■ **ნიხრი მინერალურ წყლებზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ აუცილებლად სცნო დააწესოს ნიხრი მინერალურ წყლებზე და გასაყიდ ყინულზე.

■ **საქონლის ყიდვა.** შინა ვაჭრობის კომისარიატმა აკრძალა სასაკლაოს სადგურის გარეშე დასაკლავ საქონლის ყიდვა.

= **ქუთაისის სავადმყოფოსათვის.** ქუთაისის გამასწორებელ სახლთან სავადმყოფოს დასაარსებლად ჯანსახ. კომისარიატმა აღძრა სათანადო შუამდგომლობა.

= **შრომის ბირჟა.** 10 მაისს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 100, ახლად ჩაეწერა—50, მოთხოვნილება იყო—30, სამუშაოზე გაიგზავნა 24.

[illegible] აღმასკომების მუშაობა.

■ **უპარტიო გლეხთა კონფერენცია.** 28 აპრილს შესდგა ქობულეთის მაზრის უპარტიო გლეხთა კონფერენცია. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები დაუგზავნა მიხა ცხაკაიას, თ. ხიმშიაშვილს და ნ. სვანიძეს.

■ **ქართული ენის კურსები ბათომში.** აჭარის განათ. კომისარიატმა ნება დართო მოქ. გაჩეჩილაძეს ბათომში გახსნას ქართული ენის კურსები.

= **საზღვრების დაცვა.** თელავის მაზრაღმასკომმა დაღესტანის საზღვრებთან მდებარე სახლევრების დასაცავათ შედგინა რაზმი.

■ **წისქვილები მარნები.** თელავის მაზრაში სოფლად წისქვილები და მარნები, რომლებიც არ წარმოადგენენ აღმასკომისთვის აუცილებელ საჭიროებას, გაყიდული იქნება, ან გაიცემა იჯარით (უპირატესობა მიეცემა გლეხებს)

შემთხვევები

= **თავის დახრჩობა**, 9 მაისს საღამოს 6 საათზე ვერის ხიდის ზევით, მტკვარში გადავარდა უცნობი მოქალაქე. გვამი ჯერ-ჯერობით ვერ იპოვეს.

= **შეპყრობა**, 9 მაისს ღამის 11 საათზე ჭავჭავაძის ქ. № 12 მოქ. არშაკ ყაზარიანცის ბინის აივანზე შეიპყრეს ბოროტ-მოქმ. ვინმე ივანე ლაპინსკი, რომელსაც უნდოდა მოეპარა თოკზე გადაფენილი სარეცხი.

= **ქურდობა**, 9 მაისს საღამოს 9 საათზე არსენალის ქ. № 13 გაქურდეს მოქ. სტეფანე გაბრიელისძე არუშანოვის ბინა მოპარულია 300 მან. ნივთები.

= 9 მაისს დილის 10—11 საათის ტუხინიჯერის ქ. № 10 ფანჯრის გალების საშუალებით გაქურდეს მოქ. ლეონ-დე ავიდოვის ბინა. მოპარულია 4/7 მანეთის ნივთები. [illegible] დაპატიმრებულია ივანე სამლოვი.

= **თავის მოწამვლა**, 9 მაისს საღამოს 6 საათზე ბასეინის ქ. № 6 მოქ. ნიკოლოზ ალექსიძემ გერმისაშვილმა თავი მოიწამლა. მიზეზი გამოურკვეველია. გადაიგზავნა რუსთ. მთ. ავარ საავადმყოფოში.

= **დამხრჩვალი გვამი.** 11 მაისს დილის 10 საათზე მუხრანის ხიდის ქვევით წყალში მენავეებმა იპოვეს დამხრჩვალი დედა-კაცის გვამი. გვარი გამოურკვეველია.

ვლადიმერ, კახიანი მიხეილ, კოსტანიანი გაიკას, კვანტალიანი ეპიფანე, კალანდაძე ბენო, ლომინაძე ბესარიონ, ლორთქიფანიძე დავით, ლაკობა ნესტორ, მახარაძე ფილიპე, მამულია სამსონ, მღებრიშვილი, მაშკევიჩი მოსე, ორახელაშვილი მამია, ოკუჯავა მიხეილ, ქლენტი თენგიზ, რუბენი, რატნეკი (წით. ჯარიდან), სუხიშვილი ვლადიმერ, სვანიძე ნიკოლოზ, საბაშვილი პარმენ, სულავა, სტურუა გიორგი, სტურუა ივანე, ფანცულაია, ქავთარაძე ლადო, ქურდაძე ვასილ, ღოღობერიძე ლევან, ყურულაშვილი გიორგი, შაპაროვი, ჩხეიძე გიორგი, ცხაკაია მიხა, ჯატიევი ალექსანდრე.

კანდიდატები: ადამიძე თამარა, ასირბეკოვი ერვან, ახალაძე (ბათომიდან), ბერია ლავრენტი, ბახტაძე ვალია, ბედია მაკარი, გოლდბაუმი აბრამი, დარახველიძე, ვართაპეტიანი აშოთი, ვარამაშვილი მოსე, იუზბაშევი აშრაფ, იტრიევი ვასილი, მელაძე, მარლიშვილი, ოქუაშვილი არაქელ, ქოიკაშვილი ალექსანდრე, წულუკიძე პარმენ.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობა

ბლაი-ტაკი ზადე, ალაჯალოვი ნინა, გელაშვილი იოსებ, გაგლოევი, დოლიძე ანდრო, ბაქრაძე სტეფანე, იტრიევი ვასილი, კოჩეტკოვი იაკობი, კიკნაძე ნიკო („კომუნისტის რედაქტორი), კვარაცხელია მოსე, ლომთათიძე გიგო, ლეჟავა შამშე, მაკაროვი, მახულია, მაისურაძე, მორჩილაძე, მიქაძე ისაკი, ორახელაშვილი მარიამ, საყვარელიძე პავლე („მუშის“ რედაქტორი) ტიდიშვილი ალექსანდრე, ტერვართანოვი, ფირიაშვილი, ჩოდრიშვილი გიორგი, ხარაძე, ჯულელი სიმონ, ჯორბენაძე იასონ.

კანდიდატები

ბორისენკო, გოგიბერიძე, თავდიშვილი, ლომიძე სტეფანე, ნოდია, ფირცხალავა გიორგი, ცინცაძე ასლო.

სარევიზიო კომისია

ბრეგვაძე იოსებ, ვაშაკიძე ვალერიან, კალანდაძე ერმილე, ლაღაზიძე დავით და მაჭავარიანი ილია.

კანდიდატები

ბოჭორიშვილი და ქებაძე.

ყრილობის მისალმება იტალიელ მეზღვაურებს

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა ღრმა სიხარულის გრძნობით შეხვდა ჩვენი ამხანაგების მისალმებას ფაშიზმის სამეფოდან. ყრილობა იხილავდა რა მეურნეობის აღდგენის და ჩვენი ქვეყნის გაძლიერების საკითხებს არ ივიწყებდა ამავე დროს კომუნისტებისათვის ძირითად და მთავარ საკითხს, მრავალ მილიონ პროლეტართა განთავისუფლების საქმეს ბურჟუაზიის მონობისაგან კაპიტალისტური რეაქციისაგან.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც კომუნისტური რევოლიუციის დროშა აფრიალდება ფაშიზმის სამეფოშიც—იტალიაშიც. ყრილობა გთხოვთ გადასცეთ თქვენ ჩვენი მხურვალე სალამი იტალიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს და სურვილი გამარჯვებისა მათი ქვეყნის ბურჟუაზიასთან და მის დამქაშებთან ბრძოლაში. ჩვენ მზად ვართ დახმარებისათვის მესამე კომინტერნის—მსოფლიო რევოლიუციის შტაბის პირველ მოწოდებისა და ბრძანებისთანავე.

გაუმარჯოს იტალიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის ავანგარდს იტალიის კომუნისტურ პარტიას!

ხელოვნება

საბურთალოს უფასო სახალხო კლუბის განახლება.

ათი-თორმეტი წლის წინად იწყო ზრდა თბილისის განაპირა უბანმა, საბურთალომ. უმიწაწყლო მუშა-გლეხებმა შეიძინეს პატარა პატარა სამოსახლო ადგილები. ვაი-ვაგლახით დაიდგეს თავშესაფარები, გააშენეს ბაღნაღები, მოაწყეს სამკითხველო, აუდიტორია პირველად ქორქაძის სახლში, შემდეგ ლეპანიძის ბინაზე და ბოლოს გადაიტანეს გაბაშვილების ჩამორთმეულ შენობაში. მცხოვრებლები ხალისით იწეოდნენ შრომას იმ იმედით, რომ ოდესმე ქალაქის მმართველობისაგან გაკეთდებოდა ხიდი, გაიყვანდნენ ტრამვაი, სინათლე, წყალი და სხვა [illegible], [illegible]: „საწყალ კაცს ჭკუა ლომბარდში მოიწერა“—ო ჯერ [illegible] და შემდეგ [illegible] ის ახალი მოსახლეობა თავით და ნახევარში მიატოვა აქეთ იქით. რამდენიმე ხნის განმავლობაში სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ იყო [illegible] უბანს.

გაიარა [illegible]. აქა იქა გაიჭრა დროებითი არხები მოსახლეობამ ძალა დაიკარგა განწირვის შიშმა და განდევნის მაღალმა მისწრაფებამ კვლავ დაუბრუნა ხალხი თავის ამაგს.

10 მაისს ყოფილი კლუბის ტროცკის სახელობის სახალხო სახლად გახსნა ეს ნიშანია შრომის ძლიერი სულისკვეთებისა და შეუდრეკი დღევანდელი მთავრობის მტკიცე ნებისყოფისა, რომელიც არ ერიდება არავითარ დაბრკოლებას და დახმარებას სწევს განათლებისათვის ჩაგრული ხალხის საკეთილდღეოდ.

პროგრამა პირნათლად იქნა შესრულებული.

პირველ განყოფილებაში ზეიმის გახსნისას სახალხო აუდიტორიების მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩხეიძემ. სიტყვები წარმოსთქვეს და კლუბის განახლება-მოწყობა დამსწრეთ დაწესებულებებიდან მიწვეულმა საპატიო პირებმა.

მეორე განყოფილებაში გ. ძნელაძის რეჟისორობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით დაიდგა შ. დადიანის 1 მოქმედებიანი პიესა „როს ნადიმობდნენ“. წარმოდგენამ სასურველად ჩაიარა.

წარმოდგენის შემდეგ იყო დივერტისმენტი, რევოლიუციონური ლექსები, დეკლამაცია, მელოდეკლამაცია. სიმღერები, ცეკვა, კომუნისტური ნათლობა, პატარა აუქციონი და „ინტერნაციონალი“.

დიდი მადლობა საღამოს მოწყობ კომისიას, რომელმაც არ დაიშურა შრომა მივიწყებული უბნის დანგრეული კლუბის აღსადგენად.

იმედია, რაც ძველმა ვერ შესძლო, ახალი გააკეთებს.

ვაშა, ხელის შემწყობთ!

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ ხელისუფლებას!

მუშკორი გ. ხ—ლი.

■ **ბაქოს მუშათა თეატრი.** ქ. აღმასკომმა, ბაქოს მუშათა თეატრის გასტროლები, რომელიც ამ ჟამად მიმდინარეობს რუსთაველის თეატრში, განთავისუფლა საპროცენტო გადასახადისაგან.

■ **სახელმწიფო თეატრების პროცენტული [illegible].** ქ. აღმასკომმა [illegible] სახ. კომისართა საბჭოში დასვა საკითხი აღმასკომის სასარგებლოთ თეატრების შემოსავლის პროცენტული ანარიცხის შესახებ.

■ **ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა.** მსახიობ ნიკო ლორთქიფანიძის სახელი დაერქვა სიმონოვის ქუჩას.

■ **ჟურნალი „მნათობი“.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჟურნალ „მნათობის“ ღირებულ ხარჯთაღრიცხვა 2888 მან. ჟურნალი გამოვა ყოველთვიურად 300 გვ.

■ **პლეხანოვის თეატრი.** პლეხანოვის სახელობის მუშათა თეატრში ქართული წარმოდგენების სეზონი დაიხურება მაისის 20.

■ **კულტურული მუშაობა მუშებში.** შორის რკინის გზის კავშირთან დაარსდა სალიტერატურო წრე, რომელიც გამართავს მუშებისათვის წარმოდგენებს და სალიტ. საღამოებს.

■ **„კავკასიონი“.** გამოვიდა სრ. საქ. მწერალთა კავშირის ჟურნალი „კავკასიონი“ (№ 3-4) პავლე ინგოროყვას რედაქტორობით. ჟურნალი საინტერესოთაა შედგენილი და შეიცავს 400 გვ.

ჟურნალ „კავკასიონის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ.

ვინაიდან ჟურნალის წლიური ხელისმომწერლები ათასამდე აღწევს, და ახლად გამოსული 3—4 ნომრის ყველა ხელისმომწერლებისათვის დარიგება ერთი-ორი დღის განმავლობაში ტექნიკურად მოუხერხებელია, ამიტომ ჟურნალი თანდათანობით დაურიგდება ხელისმომწერლებს მიმდინარე კვირის განმავლობაში 12 მაისიდან 18 მაისამდე.

პროვინციაში

პირველი მაისობა ჩოხატაურში.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელმა ხალხმა დიდი ზეიმით იდღესასწაულა პირველი მაისი.

აქაური მშრომელი ხალხი მოწინავე პირები 1903 წლიდან დღესასწაულობდნენ პირველ მაისს (რასაკვირველია მოკლე მასშტაბით) როგორც თვითმპყრობელობის დროს, აგრეთვე მისი ჩამოგდების შემდეგაც მაგრამ ეს ზეიმი არ გავდა წარსულ დღესასწაულებს. ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე ყველა სოფლებში გამოცხადებული იყო კომუჯრედების მიერ მასიურ კრებებზედ, ძველი რელიგიური დღეობების გაუქმება და მის ნაცვლად ახალის დაწესება, რომელსაც ნამდვილი საერთო ხასიათი აქვს და არა რომელიმე ვითომდა წმინდანების სახელობის დღის. გამოფხიზლებული მშრომელი ხალხი შეუდგა მუშათა დღესასწაულის შეგებებას. 30 აპრილს ნაშუადღევს ცოტა დაბაში რაიც არაჩვეულებრივი მუშაობა, ყველა ეზიდება ცოცხალს და მწვანე ხის ტოტებს, ყვავილებს, ირთვება მწვანე ფოთლებით ყველა შენობები. მთელი ქუჩის სიგანეზე გადაჭიმულია ცოცხალი ყვავილებით და ტოტებით მორთული არშია. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს რაიკომის, აღმასკომის და კოოპერატივთა კავშირის სახლები, რომლებზედაც ირგვლივ შემორტყმულია წითელი არშია, დიდრონი წითელი დროშები და მწვანე ფოთლები, ყვავილებით მორთული ამხ. ლენინის, რიკოვის, ტროცკის, ფ. მახარაძის, ცხაკაიას და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დიდრონი სურათები. გათენდა პირველი მაისი, მზემ თავისი სხივები მიანათა საუცხოოდ მოკაზმულ დაბას, და აურიცხელი წითელი დროშებით გაწითლებული კიდევ უფრო გამშვენდა. დილის 11 საათიდან იწყო ყველა სოფლიდან დენა დამწკრივებულად ხალხმა, დროშებითა და ინტერნაციონალის სიმღერით. 1 საათზედ ადგილობრივ ტექნიკუმიდან და სხვა სასწავლებლებიდან აღჭურვილი მოწაფეები მასწავლებლებითურთ—დროშებითა და სიმღერებით გამოდიან დაბაში. რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი პროცესია თავს იყრის მოედანზე, ტრიბუნის გარშემო, რომელიც განსაკუთრებით მოწყობილია. რაიონული კომიტეტის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ს. ცინცაძე და მოკლე სიტყვით განუმარტავს ხალხს 1 მაისის მნიშვნელობას, მთელ მსოფლიოში უსურვა ამ დღესასწაულს ისეთი თავისუფალი ზეიმი მთელ ქვეყანაზე, როგორც ეს ხდება დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში. ხალხი ამ სიტყვებს ტაშის კვრით და ვაშას ძახილით შეხვდა. მღერიან ინტერნაციონალს. ამის შემდეგ ტრიბუნაზე ადის მომხსენებლად სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. დოლიძე და ვრცლად და გასაგები ენით მოუთხრობს ხალხს პირველი მაისის დღესასწაულის ისტორიას და მის მნიშვნელობას, ახასიათებს საბჭოთა კავშირის დღევანდელ საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნების მდგომარეობას.

მოხსენებლის სიტყვა ხალხმა ტაშის კვრით დაფარა. ამის შემდეგ ილაპარაკეს ახალგაზრდა კომკავშირის წევრმა ამხ. გაბრ. მეგრელიშვილმა, ნ. დოლიძემ, ს. ფუფხაძემ, ვალ. გოგლიძემ და სხვებმა. დასასრულ პროცესიამ დროშებით ხელში ირგვლივ შემოუარა დაბას ინტერნაციონალის სიმღერით და დაიშალა. საღამოს გამართული იქნა უფასო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო სამასამდე უღარიბესი მშრომელი.

ხეფე ცინცაძე.

კავთისხევის რაიონი (გორის მაზრა)

ა. წ. 26 აპრილს კავთისხევში შესდგა უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია, რომლის მომწვევი და მეთაური იყო რაიონის ინსტრუქტორი და მათიაშვილი დელეგატების და თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვი უდრიდა 500 კაცს. კონფერენციას დაესწრო გორის მაზრის აღმასკომის წევრი ამხ. ს. ცხოვრებაშვილი, თბილისიდან შეფის წარმომადგენელნი, კონფერენციას ხსნის დილის 12 საათზე აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მჭედლიშვილი სამხედრო მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. საპატიო თავმჯდომარეებად დელეგატები ირჩევენ ამხ. ამხ. ტროცკის, კალინინს, ორჯონიკიძეს, ორახელაშვილს, ცხაკაიას, რიკოვს და ფილიპე მახარაძეს. არჩეულ იქნა კონფერენციის პრეზიდიუმი 15 კაცისაგან.

დღის წესრიგში გასარჩევია საკითხები: 1) ლენინი და გლეხობა, 2) საბჭოთა ყრილობების შედეგები და 3) აღმასკომის ანგარიშება. წინასწარ წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები ორატორებისაგან და შემდეგ კონფერენცია შეუდგა დღის წესრიგში მოყვანილ საკითხების განხილვას. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცხოვრებაშვილმა, დაწვრილებით ახსნა დელეგატებს ლენინის დამოკიდებულება გლეხობასთან და სხვა. შემდეგ საკითხებზე ილაპარაკეს ამხ. ამხ. ცინცაძემ, მათიაშვილმა, სარაჯიშვილმა და სხვა მრავალ ამხანაგებმა.

აღმასკომის ანგარიში კონფერენციისათვის წარდგენილ იქნა აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. მჭედლიშვილის მიერ და ყველა დელეგატების შეკითხვებზე მან გასცა შესაფერი პასუხი. კონფერენციამ ჩასთვალა აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

დასასრულს კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუციები, რომელშიაც კავთისხევის რაიონის უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია ესალმება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, კომპარტიის ცეკას და წითელ არმიას, უსურვებს მათ გამარჯვებას საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ. კონფერენცია დაიშალა ნაშუადღევის ხუთ საათზე.

გ. კ[illegible].

პირველმაისობა იყალთოს რაიონში (თელავის მაზრა).

პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად მომზადება იყალთოს რაიონში დაიწყო 28 აპრილს. დაწესებულებები მოსამსახურეებმა მორთეს ყვავილებით და ფოთლებით. მასწავლებლებმა მოამზადეს მოწაფეები ლექსების სიმღერების სათქმელად. პირველი მაისის გათენებისათანავე ყველა დაწესებულებებზედ წითელი დროშები ფრიალებდა. მაზრიდან დღესასწაულის ჩასატარებლად გამოგზავნილი იქნა ს. თენიეშვილი. მიტინგი მოწვეული იყო სამს ადგილას: სოფ. რუისპირში, იყალთოში და ქისტაურში. მიტინგს თითქმის ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები. მოწვეული იქნა ზურნა, რის ხმაზედაც მთელი ხალხი შეიკრიბა. ცალ მხარეზედ იდგა გლეხობა და მეორეზე სკოლის მოწაფეები,—ყვავილებით ხელში და წითელი დროშებით. კრებას ხსნის აღმასკომის თავმჯდომარე. პირველად იყო მისასალმებელი სიტყვები და შემდეგ მოხსენებები. პატარ-პატარა სიტყვებით გამოდიოდნენ სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები. გლეხობა გულმოდგინედ უსმენდა მოხსენებებს და დიდი სიხარული ეტყობოდათ. მოხსენებების გათავების შემდეგ ხალხი დიდხანს არ დაიშალა, საღამომდის სეირნობდნენ ქუჩებში. საღამოს სოფ. იყალთოში გაიმართა წარმოდგენა უფასოდ, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო.

ქრ. კ[illegible].

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის შესწორებისათვის

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო!

რადგანაც ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის ტექსტში (გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ ამა 1924 წ. მაისის 8-ს 103 № ში) უნებლიედ შეპარულა შეცდომა, რის გამოც გამოტოვებულია ხსენებული დეკრეტის მე-17 მუხლის შენიშვნა,—გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ჩემი განცხადება იმის თაობაზე, რომ ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-17 მუხლს დართული აქვს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

შენიშვნა: ა) მეურნეობა, რომელსაც ხუთი და ხუთზე მეტი მჭამელი ჰყავს, განთავისუფლდება გადასახადისაგან, უკეთუ ამ მეურნეობის სახნავი (გადატანით) ორ დესეტინაზე ნაკლები იქნება.

ბ) მე 17 მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთა მეურნეობა, რომელსაც ხუთი და ხუთზე მეტი მჭამელი ჰყავს და შრომაუნარიანი მამაკაცი კი არა, განთავისუფლდება გადასახადისაგან, უკეთუ ამ მეურნეობის სახნავი (გადატანით) ორნახევარ დესეტინაზე ნაკლები იქნება.

გ) „გ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთა მეურნეობა, რომელსაც ხუთი და ხუთზე მეტი მჭამელი ჰყავს და ამასთანავე შრომაუნარიანი მამაკაცი, განთავისუფლდება ნახევარი გადასახადისაგან, უკეთუ ამ მეურნეობის სახნავი (გადატანით) ორნახევარ დესეტინაზე ნაკლები იქნება.

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შ[illegible].**

1924 წ. მაისის 9
ტფილისი-სასახლე.

ამხ. კომუნაძის რეცენზიის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჟურნალ მნათობის“ № 2-ში დაბეჭდილია ამხ. კომუნაძის რეცენზია ლენინის „ნაციონალური საკითხის“ ქართულ გამოცემის გამო. ლენინის ნაწერების ქართულ გამოცემის სარედაქციო კოლეგიას უმართებულოდ და სრულ გაუგებრობად მიაჩნია ამხ. კომუნაძის ასეთი გამოსვლა პრესაში. სერიოზული ბიბლიოგრაფია საჭიროა და სასარგებლო, მაგრამ ასეთ რეცენზიებს შეუძლია ლენინის გამომცემლობის საქმეს მოუტანოს დიდი ზიანი, ამასთან ერთად მას შეაქვს დეზორგანიზაცია მარქსისტულ გამომცემლობის რთულ საქმეში, რასაც ჩვენ მთელი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ.

ლენინის ნაწერების ქართულ გამოცემის სარედაქციო კოლეგია.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ ქვემოთ მოყვანილ ჩემს საპასუხო წერილს. „კომუნისტი“-ს № 99 კორესპონდენტი „მორიგელი“ სწერს, ვითომ და მე, გამოჩენებულის საექიმო პუნქტის ექიმი, განძრახ ვაკეთებდე აბორტებს, რათა ფული ამისათვის კარგი გასავალია. ვინაიდან „მორიგელი“-ს მიერ წამოყენებული ბრალდება ჩემ წინააღმდეგ არის ცილისწამება და სიმართლეს მოკლებულია, მე მას ვიწვევ სამედიატორო სამართალში. ჩემ მხრივ მედიატორეთ ვასახელებ ილიკო ანტონის ძე სხვიტარიძეს დროის ვნიშნავ ა. წ. 15 მაისს და მის მიერ დასახელებულ მედიატორეს ვსთხოვ გამოცხადდეს გამოჩენებულის თემის საბჭოს შენობაში.

ექიმი ნიკურაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის. დადგენილება 1.

1924 წ. 12 მაისი.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს: იმ დრომდი, სანამ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შემავალ ყველა ცალკე რესპუბლიკებში მოწყობილი იქნება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა რესპუბლიკანური ინსტიტუტი, შინავაჭრობის რესპუბლიკანურ ორგანოებათ დროებით ჩაითვალოს შინავაჭრობის ამ ჟამად არსებული კომისიები, რომელსაც წინადადება ეძლევათ განაგრძონ მიმდინარე მუშაობა, რომლის დროსაც უნდა იხელმძღვანელონ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებებით.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.
საქმეთა მმართველი მარკარიანი.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის. დადგენილება № 2.

1924 წ. 12 მაისი.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის ყოფილ კომისიის ყველა დადგენილებები, ბრძანებები და განკარგულებები რჩებიან ძალაში და სავალდებულოთ ითვლებიან იმათთვის, ვისაც ისინი შეეხებიან.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.
შინავაჭრობის სახალხო კომისარ[იატის]
საქმეთა მმართველი მარკარიან

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

—ოთხშაბათს 14 მაისს საღამოს 5 საათზე წითელარმიელთა (ცენტრალურ რუსთაველის პრ. № 10. ყოფ. მცირე თეატრი) შესდგება ქ. თბილისის დელეგ საზეიმო სხდომა ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებების გამგეთა მონაწილეობით.

ს. კ. პ. ტ. კ-ის ქალთა განყოფილება.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— სამშაბათს 13 მაისს საღამოს 5 ნახ. საათ. ამხ. ბარამიძის მ (ქართულ ენაზე) „დანიელ ჭონქაძე და სურამის ციხე“.

— სამშაბათს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება დეფექტ შეთა შემსწავლელი ჯგუფის სხდომა

— ოთხშაბათს 14 მაისს საღამოს 7 საათ. შესდგება ხატვის მასწავლე ჯგუფის სხდომა.

ამავე დღეს საღ. 6 ნახ. საათ. მუსიკისა და გალობის ქვესექციები.

განცხადებანი

თბილისის ბირჟის კომიტეტი
აცხადებს, რომ ოთხშაბათს ა. წ. 14 მაისს საღამოს 6 საათზე საქონლის-საფონდო ბირჟის შენობაში შესდგება
ბირჟის წევრთა წლიური საერთო კრება ნ. 1125 1-

განცხადება
ვინაიდან ს. მ. უ. ს. ტრესტების სამმართველოში და დატვირთულნი არიან სტატისტიკური ხასიათის ცნო ხშირი და ყოველგვარი მოთხოვნილებებით სხვადასხვა დ სებულებათა და ორგანიზაციების მხრივ, რაიც არღვევ აფერხებს მიმდინარე ნორმალურ და დაგეგმილ მუშ მათი სტატისტიკური უჯრედებისა, საქმეთა მმართვე თანახმად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის ა/წ. 10 აპრ დადგენილებისა, ამით აუწყებს სახელმწიფო დაწესებ ბათა და ორგანიზაციებს, რომ ამის შემდეგ ყოველ ცნობები ამა თუ იმ ტრესტის ან მრეწველობის დარ საქმიანობის შესახებ მიიღება მხოლოდ ს. მ. უ. ს. ზიდიუმში და არა უშუალო ტრესტებისა და ორგან ციებისაგან.
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი ბურძ
ნ 1125 1-1

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
ლენინის ქ. № 60 (ყოფ. ოლღის ქ.) 1924 წ. 15 მაისს დილის 11 საათზე აცხადებს
საჯარო ვაჭრობას
სხვადასხვა ნახმარი ნივთების გასასყიდად: ცელების სახ შეტონები ქსეტის, ფილრონები რკინისა, დანები, კრუჟკები, კოვზები, თეფშები, მოსართავები, ავტომობილის კამერები, ნალები ცხ ნისა, ნალის ლურსმანი, ცელები, ცხენი, ინგლისური პიდჯაკი და სხვა.
ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ 10 პროც. შესაფერის საქონლის ღირებულებისა.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება წითელი ჯვ სავაჭრო განყოფილებაში, ლენინის ქ. № 60, 9—2 საათამდე.
ნ. 1114 3-1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დ'არსონვალის
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ხელმოკლე და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ
სამკურნალოს სწავლობს **ექ. სვიმონ უიფშიძე**
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 126—21—6

ექიმი გ. ზ. მეზრაბიანი
შინაგანი, გულისა და პლექით დაავადებულნი. სპეც. ცრების ბა—შემს ჰ. 914 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული ლება და წამლობა
რენტგენის სხივებით
იღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. მეზუთოვის ქუჩა № 23.
895—25—6

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 8422 (1904 წლიდან) გ ზინოვოროვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 949 1-

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი, სექციის უმუშევრობის წიგნაკი, და დასაზღვევი ცალი გაცემული ნინო ბაქრაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ქართული უნივერსი ტისაგან კალანდარიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გა მებულად 948 1-

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 8123 გაცემული 1902 ტალია ანტონოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებ 952 1-

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 128 ქაშვეთის რეჟიმის დავითაიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 953 1-

ვაცხადებ და ამით ვაუქმებ რწმუნების რილს, მიცემულს ჩემ მიერ კონსტანტინე დავითის ძე ქვარიანისადმი, განცხადებულს ლისის სახალხო ნოტარიუსის მაჭავარიანის კანტორაში 17 მაისს 1 წლისა, რეესტრით № 2402
ელენე დავითის ასული ადამიშვილი. 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი № 9817 ლორის მელიქოვის № 8 ჩაითვალოს გაუქმებულად. 954 1-

დაიკარგა პირადობის მოწმობა რკინის გზის. განყოფილება ტ-საგან მიცემული № 220 ჩაითვალოს გაუქმებულად ევტიხი პავლეს ძე ჩიგოგიძე. 947 1-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]